

ფეხბურთის ლიცენზირებული მწვრთნელი

*უეფას დიპლომის და ლიცენზიის მიღების მსურველ აპლიკანტთა მეთოდოლოგიური
სახელმძღვანელო*

შინაარსი

შესავალი.....

სასწავლო პროგრამის ფილოსოფია

სწავლების კონცეპტი, რჩევები და უნარები

კურსის სტანდარტული სტრუქტურა

კურსის კოორდინაციის მიზნები და პედაგოგები.....

ზოგადი ინფორმაცია კურსების შესახებ

კურსების მიზნები

კურსზე დაშვება

პრაქტიკული კომპონენტი.....

თეორიული კომპონენტი.....

მოდულური სერთიფიკაცია

უეფას ლიცენზირებული მწვრთნელი - პროფილი.....

უეფას ლიცენზირებული მწვრთნელი - ინსტრუქტორის პროფილი

აქტივობის ორგანიზების გრაფიკული ცხრილი და ტუტორთან დოკუმენტების ჩაბარება

დავალებები.....

პორტფოლიო.....

პირადი სასწავლო მიზნები.....

თვით-შეფასების კითხვარი

პრაქტიკული სწავლების გეგმა - შესავალი.....

უეფას ლიცენზიის აპლიკანტის პრაქტიკული ეტაპი

ანალიტიკური და პრაქტიკული დავალებები კურსის განმავლობაში

მხარდაჭერა

პროფესიონალური კლუბის სამოქმედო სტრატეგია და სამოქმედო კურსი

ტესტები

განცხადების ფორმა განმეორებითი სამაგისტრო ტესტისთვის

წესდება უცხოელი მწვრთნელებისთვის

შესავალი

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს გახდეს ინფორმაციის წყარო სასწავლო კურსისთვის 'ფეხბურთის ლიცენზირებული მწვრთნელი' (ცნებები-“ფეხბურთის მწვრთნელი” ან “LFC” შესაძლოა შემდგომში იყოს გამოყენებული) კურსის მიზანია დააკმაყოფილოს პროფესიონალი ფეხბურთის მწვრთნელის უმაღლესი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ დაინტერესდებით და აქტიურად დაესწრებით ამ სასწავლო კურსებს. გისურვებთ წარმატებებს.

სასწავლო პროგრამის ფილოსოფია სწავლების კონცეფტი, რჩევები და უნარები

ეს სასწავლო კურსი ორიენტირებულია მონაწილის მოქმედებებზე გარკვეულ გარემოში და ვითარებაში. ვითარება მნიშვნელობას სძენს მოქმედებას. ერთ-ერთი მოქმედება, რომელიც კურსის მონაწილემ უნდა განახორციელოს არის დავალებების შესრულება იმ კლუბში, რომელსაც წვრთნის.

რას ნიშნავს გარკვეული ვითარება თითოეული მონაწილისთვის, როდესაც მასზე დაკისრებულ დავალებებს ასრულებს?

ზრდასრულმა ადამიანებმა, მონაწილეობა მიიღეს მრავალ სასწავლო პროცესში და მათი წყალობით დაეუფლნენ საბაზისო ცოდნას, უნარებს და მიდგომებს მათი საქმიანობის ყველა სფეროში. თითოეული ახალი ვითარება, შემთხვევა ან მოქმედება შეფასებულია და გაანალიზებულია წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად.

საგნების არსში წვდომის შესაძლებლობა, უნარები და გამომუშავებული დამოკიდებულებები, რომლებსაც ადრე დავეუფლეთ, გვიყალიბებს შეხედულებების სისტემას და მსოფლხედვას, რომლებიც ჩვენი შერჩევითი დაკვირვების და რეაგირების (ჩვენი მოქმედებების) საფუძველია. შეხედულებების სისტემა არის ღირებულებების სისტემა. ეს სისტემა შესაძლებლობას გვამძლევს მრავალ ვითარებაში ვიმოქმედოთ და რეაგირება მოვახდინოთ. ამასთან ერთად, ის საშუალებას გვამძლევს შევიმუშავოთ სხვადასხვა ინტერპრეტაცია და მეთოდი, რომლითაც შეგვეძლება რაიმეს შეცვლა. დამატებით, სისტემა საფუძველია იმის, რისთვის და როგორ ვისწავლით სამომავლო ვითარებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს განსხვავება პრაქტიკულ ვითარებებში ნასწავლის გამოყენებასა და წინა წლების თეორიულ კვლევებში ნასწავლის რეალურ სიტუაციაში გამოყენებას შორის. ამის ამოსავალი წერტილია პოსტულატი: შესწავლა არის მოქმედება, თუმცა მოქმედება საღი აზრის მიხედვით. შესწავლით ვაფართოებთ, ვცვლით ან ვხვეწთ იმ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ. უკიდურეს შემთხვევებში, წინა წლების კვლევები გადამუშავებულია და შეცვლილი სხვადასხვა აზრით, დამოკიდებულებით და მოქმედებებით. სასწავლო პროცესში, მოქმედებების დიაპაზონი ფართოვდება ან მათი ხარისხი უმჯობესდება, რაც ქმნის სწრაფ და მოსახერხებელ გზებს რაიმე საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიონალური საქმიანობა არის ამ კურსის ამოსავალი წერტილი. თითოეულ პროფესიას სჭირდება ერუდიციის და ცოდნის ერთობლიობა, რომელსაც ფუნდამენტურ თეორიას ვუწოდებთ (მაგალითად, სამეცნიერო თეორია). ასევე, არსებობს თეორია, რომელიც ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოიყენება. ის მოიცავს გარკვეული პირადი ანალიზის შედეგებს, ნასწავლ მასალას, კარგ ვარჯიშებს, მიდგომებს, პროცედურებს და ა.შ. ამას ვუწოდებთ სამუშაო

მოდელს. კურსის განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაწილის მოქმედებებს, რომლებიც დამყარებულია მის მიერ შესრულებულ დავალებებზე.

სწავლების მიზანია კურსის მონაწილეს განუმტკიცოს კომპეტენცია, რათა ამ უკანასკნელმა იმოქმედოს გამოცდილების, ცოდნის და სიტუაციების ინტერპრეტაციის შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია კონცეფტებთან/ მოდელებთან და თეორიებთან.

სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპეტენციებზე. კომპეტენციები არის ცოდნის, უნარების, ძირითადი მიდგომების, დამოკიდებულებების და პიროვნული თვისებების უმნიშვნელოვანესი ერთობლიობა, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში წინ უძღვის წარმატებულ მოქმედებას. (დასახული მიზნის მიღწევა).

სასწავლო პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- გაუცნობიერებელი არაკომპეტენტურობა;
- გაცნობიერებელი არაკომპეტენტურობა;
- გაცნობიერებული კომპეტენტურობა;
- გაუცნობიერებელი კომპეტენტურობა (უნარი).

კურსის განმავლობაში, ყურადღებას დავუთმობთ პირველი სამი ეტაპის გავლას და არაცნობიერი კომპეტენციის გადაქცევას ცნობიერ კომპეტენციად და/ან მის გაზრდას, რაც გულისხმობს არამხოლოდ იმას, რაზეც მონაწილეს არ აქვს ცოდნა, არამედ უკვე არსებული უნარების და კომპეტენციების კიდევ უფრო გამყარებას და განვითარებას.

ეს მიიღწევა მომდევნო სასწავლო ღონისძიებების შემდეგ:

- ემპირიული სწავლა (გამოცდილებაზე დაფუძნებული); პრაქტიკაში სწავლა;
- რეფლექსიური სწავლა; საკუთარი ქმედებების ანალიზი;
- ინტერაქტიული სწავლა (მონაწილეობა); ორმხრივი სწავლება;
- იმიტაციური სწავლა; სწავლა მიბაძვით;
- თეორიული სწავლა; სწავლა ფართო ცოდნის დაუფლებით.

ემპირიული სწავლა ასევე მოიცავს სწავლას სტრესულ და/ან რთულ ვითარებებში, როდესაც დაძაბულობა და მნიშვნელობა ძალიან მაღალია; "მაღალი მნიშვნელობის ვითარებები".

როგორც წესი, ასეთი ვითარებები აიძულებს ადამიანს მიმართოს მოქმედებების ძველ მეთოდებს. ასეთი ტიპის სწავლება საკუთარი შეცდომების პოვნაში ეხმარება მონაწილეს. რთული და სტრესული ვითარებების ანალიზი, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური შედეგით, შესაძლებლობას გვაძლევს შევიმუშაოთ მოქმედების სხვადასხვა გზა და ინტერპრეტაცია, რომლებიც ზრდის ჩვენს ცოდნას და ამყარებს ჩვენს სამოქმედო უნარს.

მოდელზე დაფუძნებული სწავლება გვასწავლის, რომ რისკთან დაკავშირებულია ფაქტი, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც კარგია, გამოდგება კარგ მაგალითად. ამასთან, შემენილი კომპეტენციებისგან თავის დაღწევა უფრო რთულია, ვიდრე რაღაც ახალის სწავლა. გარკვეული, გამოსადეგი სამოქმედო მოდელების და ვითარებების რაციონალური გამოყენება მოითხოვს წინდახედულებას, როდესაც პრაქტიკული (სწავლების) სიტუაცია იქმნება. ამ კუთხით საფეხურთო კლუბის პრაქტიკული ინსტრუქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

მამასადამე, სწავლა მოიცავს ფართო და კომბინირებულ მიდგომას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რეფლექსიურ სწავლაზე. პრაქტიკაში

დავალებების შესრულებით და მათი გაანალიზებით, მონაწილეები ანვითარებენ მათ უნარებს პედაგოგების, ინსტრუქტორების და კოლეგების დახმარებით. სხვადასხვა თემაზე დავალებების დეტალური აღწერა პედაგოგთან კონსულტაციით განისაზღვრება. დავალებების მიზანია მონაწილეს შესთავაზოს მისი საქმიანობის მსგავსი რაც შეიძლება მაღალი ხარისხის დავალებები. მონაწილისთვის თითოეული დავალების მიზანია, რომ მან შეძლოს ნასწავლის საფეხბურთო ორგანიზაციის საქმიანობაში გამოყენება (შემენილი ცოდნის გამოყენება).

ამ კუთხით სასწავლო პროცესის ციკლი არის ამოსავალი წერტილი.

1. პრაქტიკული ვითარება, რომელშიც ჩართულია მონაწილე და რომლიდანაც ის იღებს რეალურ გამოცდილებას სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, რომლებზეც კურსის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა.
2. სხვადასხვა სიტუაციაზე დაკვირვება და ანალიზი გვადლევს ინფორმაციას და ცოდნას რომელიც ეხება:
 - ფაქტორები რომლებიც მიზნის/მიზნების მიღწევას უწყობს ხელს (ვითარების ანალიზი)
 - თქვენი ძირითადი დავალებების შესრულება და შესაძლებლობების გამოვლენა, იმისათვის რომ გავლენა მოახდინოთ მნიშვნელოვან ფაქტორებზე.ანალიზს მოსდევს სასწავლო საჭიროებების მომზადება და ჩამოყალიბება.
3. ანალიზის და/ან სასწავლო საჭიროებების და კონცეფტების/მოდულების და თეორიების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი.
4. კონცეფტები/მოდულები გარდაქმნილია მოქმედებებად და რეალიზებულია. შედეგების გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკაში.

სასწავლო ციკლის დასრულებით, პრაქტიკაში ვხედავთ, რომ აქტიური ექსპერიმენტაციის ეტაპები და სპეციფიკური გამოცდილება შესაძლოა ერთმანეთის მსგავსი იყოს. ათვლის ის წერტილი, რომლიდანაც სასწავლო ციკლი იწყება უმნიშვნელოა და დიდი როლი არ ენიჭება. ხშირად, ათვლის ეს წერტილი ეხება თემას და/ან იმას, რასაც მონაწილეები და/ან პედაგოგი უპირატესობას ანიჭებენ. იმისათვის, რომ შევუდგეთ სწავლას და დავიწყოთ მისი რეალობაში განხორციელება, ამისთვის ყველა ეტაპის გავლაა საჭირო.

გულდასმით შესრულებული ანალიზის მეშვეობით სწავლა ეფექტურია, იმ ფუნდამენტური პრობლემების გამო, რომლებიც მის საფუძველშია და რომლებიც წარმოადგენს ამ სწავლების არსს. ამ შემთხვევაში, მონაწილეს სურს, რომ ისწავლოს რაღაც, რომ უკეთესად იმოქმედოს მომავალში და ამისთვის სწავლობს და ეძიებს იმას რაც სჭირდება.

განალიზებული მოქმედება არის გაცნობიერებული: შენ იცი რასაც აკეთებ, რატომ აკეთებ და რატომ აკეთებ გარკვეული გზით: რისი მიღება გსურს და როგორი შედეგები მოჰყვება შენს მოქმედებებს, როგორც შენთვის, ასევე სხვებისთვის. ანალიზის უნარს ფლობ იმ შემთხვევაში, თუკი შენს თავს მუდმივად უსვამ ამ კითხვებს და პოულობ პასუხებს, რომლებითაც კმაყოფილდები.

საქმიანობის პროცესში სწავლა ეფექტურია. სწორედ ეს არის ძირითადი პრინციპი. კურსს, რომელიც საფეხბურთო კლუბთან (თქვენი სამუშაო) არაა დაკავშირებული, სჭირდება 'შემენილი ცოდნის გადატანა' და შედეგად, გამომდინარე აქედან, ის ნაკლებად ეფექტური კურსია სპეციალიზებულ კურსთან შედარებით.

სხვადასხვა თემაზე ორიენტირებული დავალებები ყველა მონაწილისთვის ერთი და იგივეა, მაგრამ, თუკი შესაძლებელია, ისინი უნდა იყოს მისადაგებული თითოეული მონაწილის ვითარებას/სამუშაოს და მათი განვითარების მიზნებს.

კვალიფიკაცია არის მტკიცებულება რომ შესაბამისი პირი ფლობს გარკვეულ თვისებებს. ლიცენზიები და დიპლომები არის ამ თვისებების ნათელი ილუსტრაცია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც მონაწილისთვის, ასევე საფეხბურთო კლუბისთვის. კვალიფიკაცია დაფუძნებულია შედეგებზე და გარკვეული თვისებების ფლობაზე. ზოგიერთი თვისების გამომუშავება შესაძლოა კურსისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.

კურსის სტანდარტული სტრუქტურა

სასწავლო კურსი მოიცავს მომდევნო თავებს:

- ზოგადი ინფორმაცია კურსის შესახებ;
- პროფილი;
- სწავლება და დავალებები;
- შეფასება.

ზოგადი ინფორმაცია აწვდის დეტალებს სასწავლო კურსის მიზნის, დაშვების წინაპირობების, შინაარსის, სტრუქტურის, გამოყენების სფეროს, პროგრამების, კურსის ორგანიზების, გადასახადის კომპენსაციის სქემების, კურსის ადრე დატოვების და დადგენილი ვადების გადაცილების შესახებ.

კვალიფიკაციის პროფილი არის მთლიანი კურსის განუყოფელი ნაწილი და მისი ძირითადი კრიტერიუმი. ის მოიცავს ორ ნაწილს: LFC-ს დავალებებს და საჭირო ძირითად უნარებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა უნდა შეასრულოს LFC-მ და რა უნარებს უნდა ფლობდეს კვალიფიკაციის დონის მიხედვით. პროფილი ასევე გამოიყენება შეფასების კრიტერიუმად კვალიფიკაციის დონის განსაზღვრად. თითოეული კვალიფიკაციისთვის მწვრთნელის პროფილი დეტალურადაა აღწერილი UEFA-ს ბროშურაში (UEFA Coaching Convention), 2015 წლის გამოშვება. ის ყურადღებას ამახვილებს LFC-ს პრაქტიკული საქმიანობის პროფილზე და ფართოდაა აღიარებული საფეხბურთო სამყაროში.

ბროშურის დასაწყისშია წარმოდგენილი კონცეფტი, რომელზეც დაფუძნებულია სასწავლო პროცესი და ის რისი გაგებაც ხდება ამ ცნებით კურსის დროს. დავალებების შესრულება გადამწყვეტ როლს თამაშობს შესაბამის კონცეფტში. დავალებები ისეა შედგენილი, რომ მონაწილეებმა შეძლონ მაქსიმალურად სწრაფ დროში მისი პრაქტიკაში გამოყენება. კურსის სემინარები დაგროვილ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. თეორიასთან ერთად, საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი საწყის რესურსს ქმნის სასწავლო პროცესისთვის. კურსის მონაწილეს დავალებები შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს პროფესიონალი ფეხბურთის მწვრთნელის უნარები და ამასთან ერთად დაეუფლოს საკონტროლო კრიტერიუმს (ძირითადი ეტაპები). კურსის ბოლოს, ყველა დავალება უნდა იყოს შესრულებული და დამტკიცებული.

საგამოცდო გეგმა კურსის დროს

კურსის დასრულება ხდება კვალიფიკაციის ტესტებით (QT). საგამოცდო გეგმა, რომელსაც მონაწილე კურსის დასაწყისში იღებს, მოიცავს სხვადასხვა კვალიფიკაციის ტესტების მოკლე აღწერას და შეფასებას. ნაშრომის შეფასების (დავალებების შეფასება მონაწილის პორტფოლიოში) გარდა, ის მოიცავს პრაქტიკულ შეფასებებს, ინტერვიუებს და სამაგისტრო ტესტს.

კურსის წარმატებულად დასრულებისთვის მთავარი ეტაპია პროგრამის მომზადება და დაგეგმვა. კურსის მონაწილემ უნდა გაითვალისწინოს და დაგეგმოს დროის ის პერიოდი, რომელშიც დავალება უნდა იყოს შესრულებული და წარმოდგენილი. განრიგი მომზადებულია ისე, რომ მონაწილეებისთვის ადვილი იყოს გასაგებად. სექცია “დავალებები” დეტალურად ხსნის იმ მეთოდს, რომლითაც სხვადასხვა დავალება განაწილებულია სემინარებზე და რისი გაკეთება ევალება მონაწილეს.

მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ დაგროვილი ინფორმაცია. ის მოიცავს რჩევებს სასწავლო კურსის განმავლობაში.

კურსის კოორდინატორის და პედაგოგების მიზნები:

- ჯგუფის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა;
- ჯგუფური პროცესების და კურსის მიმდინარეობის შეფასება;
- ინტეგრაცია კურსის სხვადასხვა მოდულზე დაკვირვებით;
- ინდივიდუალური სასწავლო პროცესისა და პირადი განვითარების შესამოწმებელი გასაუბრება;
- დისკუსია კურსის ნებისმიერ მოდულზე;
- დისკუსიები და/ან რჩევები პირად პრობლემებზე შემდეგი შეზღუდვებით:
 - ა. სტუდენტი მიესალმება შემოთავაზებებს;
 - ბ. ეს ხელს უშლის მონაწილის განვითარებას;
 - გ. ეს ხელს უშლის ჯგუფის აქტივობას.

ზოგადი ინფორმაცია კურსების შესახებ

მრავალი წლის განმავლობაში, პროფესიონალი მწვრთნელების სწავლება გარდაიქმნა საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ კურსად, რომელსაც კარგი რეპუტაცია აქვს საფეხბურთო სამყაროში. განვითარებისადმი მუდმივი სწრაფვა და უფრო მაღალი დონის მიღწევა გასაუმჯობესებელი მეთოდების მუდმივ ძიებას მოითხოვს.

სასწავლო პროგრამა განსაკუთრებით ორიენტირებულია კურსის ინდივიდუალიზაციაზე და უზრუნველყოფს დავალებების შესრულებას ინდივიდუალური მოთხოვნების მიხედვით. პროფილი ამოსავალი წერტილია. (კომპონენტი, რომელიც გვაჩვენებს კავშირს შინაარსსა და შეფასებას შორის). კურსი დაფუძნებულია თითოეული მონაწილის დონეზე და სასწავლო მოთხოვნებზე.

ეს ნიშნავს, რომ მონაწილე აქტიურად უნდა ჩაერთოს პროგრამის მომზადების, მისი შინაარსის განსაზღვრის, მოწვეული მასწავლებლების ამორჩევასა და სემინარებისთვის ადგილის შერჩევაში (მაგალითად საფეხბურთო კლუბები).

კურსის მონაწილეზე მორგება არის გამოწვევა და პროფილმა, როგორც მისმა ამოსავალმა წერტილმა უნდა უზრუნველყოს კურსის “ ფეხბურთის ლიცენზირებული მწვრთნელი” მაღალი ხარისხი.

ძირითადი პრინციპები (იხ. ასევე სწავლების და ვარჯიშის კონცეფტი):

- “თვითშეფასების” და “ინდივიდუალური სასწავლო მიზნების” კითხვარები ის საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც მონაწილე თითოეული აქტივობის სასწავლო საჭიროებებს ადგენს და აღწერს მათი განხორციელების ეტაპებს;
- დავალებები უნდა იყოს მონაწილეზე მორგებული.
- კურსის თითოეულ მოდულს უნდა დაერთოს პირადი სასწავლო მიზნების შესრულების და გამოყენების მოხსენება. (შეხვედრები/კონტაქტი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით (“Skype”, და ა.შ))
- სწავლების მიდგომაში, ინიციატივას იღებს კურსის მონაწილე და მისი წვლილი მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.
- ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მასთან დაკავშირებული შესაძლებლობები და ალტერნატივები შესულია განხილვის და ანალიზის პროცესში.
- განხილული უნდა იყოს შეფასების და ანალიზის სამივე ფენა. (ძირითადი ანალიზის განხორციელება).

- ✓ ვაკეთებ თუ არა სწორად?
- ✓ ვაკეთებ თუ არა სწორედ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე?
- ✓ რამდენად სწორია ის მოსაზრებები და არგუმენტები, რომლებითაც ჩემს საქმიანობაში ვხელმძღვანელობ?

- მონაწილის სასწავლო სტილის შესაბამისი სხვადასხვა სასწავლო აქტივობები გამოყენებულია, რათა მიღწეულ იქნას მისი სასწავლო მიზნები.
- სამაგისტრო ტესტი შესულია კვალიფიკაციის ტესტებში (QT): ყურადღების გამახვილება შემოთავაზებულ ან შერჩეულ თემაზე, კანდიდატის ინდივიდუალური განვითარების დონის დემონსტრაცია (მოქმედების, კონცეფტების, თეორიის/კონცეფტის და ღრმა ანალიზის შორის კავშირი).

კურსების მიზნები

კურსის ‘ფეხბურთის პროფესიონალი მწვრთნელი’ მთავარი მიზანია, შესაძლებლობა მიეცეთ მონაწილეებს მიიღონ და გაიუმჯობესონ ცოდნა, უნარები, მიდგომები და პიროვნული თვისებები, რათა საბოლოოდ შესაძლებლობა ჰქონდეს მწვრთნელებად მუშაობის, როგორც სამოყვარულო, ისე პროფესიონალურ საფეხბურთო ორგანიზაციებში.

კურსზე დაშვება

მონაწილეები შეირჩევიან დაშვების პროცედურის მიხედვით. ამისთვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- 1.წინა კურსებზე მიღწეული შედეგები. (საჭიროების შემთხვევაში)
 - 2.სპორტული მიღწევები მოთამაშის რანგში.
 - 3.სამწვრთნელო მიღწევები მწვრთნელის/ტუტორის რანგში.
 - 4.მისაღებ ტესტზე მიღებული შედეგებით, რომლებიც კურსის დონის მიხედვით მოიცავს ერთ ან მეტ ელემენტს.
 - 5.მისაღებ კომიტეტთან დიალოგით.
 6. მისაღები კომიტეტის მენეჯმენტთან გასაუბრებით.
 - 7.სხვა ტესტები, წინასასაკვალიფიკაციო დონის მიხედვით.
- სტანდარტული კურსი შექმნილია მაქსიმუმ 16-24 მონაწილისთვის.

UEFA-PRO ლიცენზია - 8-20 მონაწილე
UEFA A ლიცენზია - 16-20 მონაწილე
UEFA B ლიცენზია - 20-24 მონაწილე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური გადაწყვეტილებით, მონაწილეთა რაოდენობა გარკვეული კურსისთვის შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს.

კურსის შინაარსი

კურსი შედგება ორი - პრაქტიკული და თეორიული ნაწილისგან.

პრაქტიკული კომპონენტი

ფეხბურთის მწვრთნელის საქმიანობის სპეციფიკურობა შეისწავლება პრაქტიკით (მატჩების და ვარჯიშების დროს)!

პრაქტიკული დავალებების მიზანია მწვრთნელთა სწავლების პროცესის ხელშეწყობა.

თითოეული მონაწილე პრაქტიკულ სწავლებას გადის საფეხბურთო ორგანიზაციაში (FF)

საქართველოში, საფეხბურთო ორგანიზაცია შეირჩევა ლიცენზიის დონის მიხედვით. თითოეული

მათგანი არის ტუტორის დაკვირვების და ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც ნიშნავს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ზოგჯერ, ნებადართულია პრაქტიკული სწავლება ორ

საფეხბურთო ორგანიზაციაში. ამასთანავე, PRO ლიცენზიის მონაწილეთა ჯგუფი დამატებით

პრაქტიკულ სწავლებას გადის უცხოურ საფეხბურთო კლუბებში.

თეორიული კომპონენტი

კურსის ეს კომპონენტი მოიცავს სასწავლო მოდულებს ყველა მონაწილისთვის.

ეს სესიები ეძღვნება მონაწილეთა მიერ, პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს დაგროვილ

გამოცდილებას. ამ აქტივობების ამოსავალი წერტილებია მონაწილეების სასწავლო მოთხოვნები და

საჭიროებები, ისევე როგორც ფეხბურთის პროფესიონალი მწვრთნელის საქმიანობა (როგორც ის

აღწერილია პროფილში).

სწორედ ამის გამო პრაქტიკა არის სესიების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მასში შესულია ყველა ის

საკითხი, რომელიც აქტივობას უკავშირდება (სწავლება, მატჩი, ურთიერთობები). ანალიზის

დეტალები რეგულირებულია კურსის დონის მიხედვით. კლუბის ინტერესების გათვალისწინებით,

ქცევის ხაზი ყურადღებას მწვრთნელის საქმიანობაზე ამახვილებს, დონის შესაბამისად (ამ

შემთხვევაში PRO ლიცენზიისთვის - კომერციული ინტერესები, რომლებიც ხელს უწყობს

საფეხბურთოს ორგანიზაციის მდგრადობას).

ასევე ორგანიზებულია შემდეგი სესიები:

- ჯგუფთან ერთად მატჩების ყურება, რომლებსაც მოსდევს სხვადასხვა დავალებები ქვე-ჯგუფებში.
- ვიზიტი საფეხბურთო ორგანიზაციაში გარკვეულ ჯგუფთან ერთად (8-10ადამიანი).
- კლუბის ერთ-ერთი მონაწილის მიერ კლუბში ვიზიტი, 3-4 კაციან ჯგუფებში (მიკრო სემინარები).

კურსის განმავლობაში, მონაწილეებს ხელს უწყობენ განავითარონ საკუთარი ხედვა მწვრთნელის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოთამაშის და მწვრთნელის რანგში დაგროვილი რეალური გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სხვადასხვა აქტივობაზე დასასწრებად მოწვეულნი არიან გამოცდილი მწვრთნელები, რათა კურსის მონაწილეებთან გაცვალონ იდეები და მოსაზრებები.

გაცდენები

მონაწილეები ვალდებული არიან დაესწრონ ყველა აქტივობას. გაცდენილი საათების მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი საათების 10%. როგორც წესი, ცნობის გარეშე ხანგრძლივი გაცდენა გამოიწვევს კურსიდან გარიცხვას. კოორდინატორი წარმოადგენს ცნობის მოდელს, (ტელეფონის ნომერთან ერთად), რომლის მეშვეობითაც მონაწილემ უნდა აცნობოს მისი არყოფნის შესახებ ფორს მაჟორულ სიტუაციებში. ამ წესისგან გამონაკლისი შესაძლოა დაიშვას მხოლოდ კურსის კოორდინატორთან დისკუსიის შემდეგ.

ადრეულად შეჩერება

ნახევარი კურსის გავლის შემდეგ, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ შუალედური შეფასება მათ პორტფოლიოზე (შესრულებული დავალებების პაკეტი) დაყრდნობით. შესაძლებელია მონაწილეს კურსზე დასწრება შეუჩერდეს შესაბამისი შეფასებაში ცუდი შედეგის მიღების შემთხვევაში. კურსის ასეთი სახით შეჩერების შემთხვევაში, კანდიდატმა კურსის კოორდინატორთან, ინსტრუქტორთან ან პედაგოგთან პირადი შეხვედრის დროს უნდა წარმოადგინოს მისი გადაწყვეტილების მოტივები. ასევე, მონაწილეს ადრეულად უნდა შეუჩერდეს კურსზე დასწრება ზედიზედ ორი მოდულის სერთიფიკატების ვერ მიღების შემთხვევაში.

მოდულური სერთიფიკაცია

ადრეულად შეჩერების შემთხვევაში მოდულური სერთიფიკაცია საგამოცდო კომიტეტის კომპეტენცია ხდება. თითოეული მოდულისთვის კურსის კოორდინატორმა უნდა განსაზღვროს შესაბამისმა კანდიდატმა ჩააბარა თუ არა სასერთიფიკაციო გამოცდა. მოდული ითვლება ჩაბარებულად, თუკი ყველა ელემენტი შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტებთან. კანდიდატს ჩაბარებულად ეთვლება კურსი, თუკი ის მიიღებს შესაბამისი კურსის ყველა მოდულურ სერთიფიკაციას.

მოდულური სერთიფიკაცია ვარგისია მომავალი კურსის შესაბამისი ლიცენზიისთვის, ამ კურსის დასრულების შემდეგ და გამონაკლისის სახით მონაწილეებს აძლევს უფლებას რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის კურსზე. კურსის გაგრძელებისთვის ფინანსური პირობები თითოეული შემთხვევისთვის ცალკე განისაზღვრება. მოდულური სერთიფიკატები არ არის გამოცემული. ყველა ინფორმაცია GFF-ს მონაცემთა ბაზაშია დაცული.

თუკი დამტკიცდა, რომ მონაწილემ ჩაიდინა თაღლითობები, მისი კურსზე დაშვება დაუყოვნებლივ უნდა იყოს შეჩერებული. თაღლითობა გულისხმობს მონაწილის მიერ ნებისმიერი არალეგიტიმური ქმედების ჩადენას, რომელიც ნაწილობრივ ან მლიანად ხელს უშლის მისი კომპეტენციის და კვალიფიკაციის დადგენას.

თაღლითობებზე მიჩნეულია მომდევნო ქმედებები, ვითარებისდა მიუხედავად:

- მთლიანად ან ნაწილობრივ, ან სხვა ნებისმიერი გზით, გამეორება ან გამრავლება სხვა მონაწილის მიერ შესრულებული დავალების;
- არავთენტიკური დავალებების წარმოდგენა;
- რეგისტრაციის დროს ყალბი ინფორმაციის მიწოდება.

საკომპენსაციო სქემა კურსის ადრეულად შეწყვეტის შემთხვევაში

კურსზე დაშვების შემდეგ, თუკი მოხდა შეთანხმების შეწყვეტა, მონაწილე ვალდებულია დაფაროს კურსისთვის გათვალისწინებული მთლიანი საფასური. კურსის ადრეულად შეჩერების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს კურსის მთლიანი საფასური. სარეგისტრაციო საფასური არ ბრუნდება არცერთ შემთხვევაში.

შესაბამისი წესები სემინარებზე დაუსწრებლობის შემთხვევაში.

მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს დავალებების შესრულების შესაბამის სტანდარტებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იტოვებს უფლებას მონაწილესთან ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი ის დაარღვევს შეთანხმების მიხედვით გათვალისწინებულ მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს წერილობითი ნებართვის გარეშე.

მონაწილე ვალდებულია ყველა საკონტროლო ტესტი ჩააბაროს განსაზღვრულ ვადებში. საკონტროლო ტესტის განმეორებით გავლასთან დაკავშირებით მოთხოვნილი უნდა იყოს განსაზღვრულ ტარიფებთან შესაბამისი დამატებითი გადასახადები. ფორს მაჟორული სიტუაციების შემთხვევაში ან მწვრთნელების/პედაგოგების რეკომენდაციით, მონაწილეებს შეუძლიათ წარადგინონ წერილობითი განცხადება კურსის პერიოდის გაგრძელების თაობაზე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დეპარტამენტი გადაწყვეტს ამ საკითხს და განსაზღვრავს ვადას, რომელშიც დაწერილი განცხადება შეიძლება იყოს შესრულებული.

მომდევნო კურსზე დავალებების შეფასების ღირებულების, კურსის მოდულების გავლის და კვალიფიკაციის ტესტის ღირებულება ცალკე განისაზღვრება და დამოკიდებული იქნება მოცემულ მომენტში არსებულ შესაბამის ტარიფზე.

UEFA-ს ლიცენზირებული მწვრთნელი - პროფილი

პროფილი UEFA-ს ლიცენზირებული მწვრთნელი წარმოდგენილია ბროშურაში (UEFA Coaching Convention), 2015 წლის გამოცემა.

UEFA-ს ლიცენზირებული მწვრთნელი - ინსტრუქტორის პროფილი

მოთხოვნები, სამუშაოს აღწერა, დაკავებული თანამდებობები და ფინანსური პირობები მწვრთნელთა ტუტორისთვის, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელების ლიცენზირების სისტემის ნაწილი.

რეგულაციები ტუტორშიფზე

I. ტუტორშიფის (ტუტორის საქმიანობის) მიზნები და ამოცანები

- 1.1. ტუტორშიფის მიზანია დაეხმაროს მწვრთნელს (კანდიდატს) განვითარებაში
- 1.2. ტუტორშიფის მთავარი ამოცანებია:
 - a) პროფესიის ძირითადი უნარების დაუფლების პროცესის დაჩქარება, შესაბამის დონეზე მწვრთნელზე დაკისრებული დავალებების ინდივიდუალური, ეფექტური და ხარისხიანი შესრულების უნარის განვითარება.
 - b) ინდივიდუალურ სამწვრთნელო საქმიანობასთან ადაპტაცია, სასწავლო პროცესის წესების, პრინციპის და თამაშის, როგორც აქტივობის ცოდნა.

II. ტუტორშიფის ორგანიზება

- 2.1. კანდიდატებისთვის ტუტორშიფის ჩამოყალიბება შესაბამისი კურსის დასაწყისში ხდება.
- 2.2. ტუტორშიფის ჩამოყალიბება ხდება კურსისთვის განკუთვნილი პერიოდისთვის.
- 2.3. ტუტორებს შორის შერჩეულნი არიან ყველაზე გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელები, რომლებსაც აქვთ მაღალი პროფესიონალური დონე, აქვთ უნარი და სურვილი გაუზიარონ სხვებს საკუთარი გამოცდილება და აქვთ ფართო ცოდნა კლუბის, გუნდის და მწვრთნელის

საქმიანობასთან დაკავშირებით, მხარს უჭერენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უფასო და ფიფას სამუშაო პირობებს და სტანდარტებს, აქვთ კომუნიკაციის და დისკუსიის უნარები.

2.4. ტუტორს უნდა ჰქონდეს UEFA-ს შესაბამისი დონის ვალიდური ლიცენზია და სულ მცირე იმ ლიცენზიაზე უფრო მაღალი ან იდენტური, რომლის დაუფლებაცაც მონაწილემ შეიტანა განაცხადი, მაგალითად:

UEFA - B ლიცენზიის კანდიდატი- UEFA A ლიცენზია;

UEFA - A ლიცენზიის კანდიდატი - UEFA A ან UEFA PRO ლიცენზია;

UEFA - PRO ლიცენზიის კანდიდატი - UEFA PRO ლიცენზია;

2.5. ტუტორს უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში საქმიანობის მინიმუმ შვიდ წლიანი გამოცდილება (მწვრთნელი, ტექნიკური მენეჯერი ან სპორტული მენეჯერი)

2.6. სპეციალისტის დანიშვნა ტუტორის პოზიციაზე და დამსწრეთა სიის დამტკიცება ხდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ და უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს. ერთ ტუტორს არ შეიძლება ჰყავდეს რვაზე მეტი დამსწრე ერთი და იგივე კურსზე.

2.7. დადგენილი ვადით სამუშაო კონტრაქტი სრულდება თითოეულ ტუტორთან. ამ კონტრაქტმა უნდა უზრუნველყოს კანდიდატების რაოდენობის განაწილება, რომლებიც მიჩენილია ტუტორისთვის.

2.8. ტუტორის პოზიციაზე მყოფი სპეციალისტის ანაზღაურება განისაზღვრება ღირებულებების სიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ფედერაციის მიერ.

2.9. ტუტორის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებია: საცდელი ვადის განმავლობაში ახალი მწვრთნელის მიზნების მიღწევა, დავალებების შესრულება და მწვრთნელის სამომავლო საქმიანობა. ტუტორშიფი შეფასდება მისი დასრულებისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დეპარტამენტის მიერ ტუტორის საქმიანობაზე დაკვირვების საფუძველზე.

III.

ტუტორის ვალდებულებები

ტუტორი ვალდებულია:

3.1. იცოდეს UEFA-ს მწვრთნელთა კვალიფიკაციების ურთიერთალიარების კონვენციის მოთხოვნები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეგულაციები.

3.2. მწვრთნელთან (დამსწრესთან) ერთად, მოამზადოს და მოიწონოს მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

3.3. სიღრმისეულად შეაფასოს მწვრთნელის (დამსწრე) პროფესიონალური და პიროვნული თვისებები, მისი დამოკიდებულება სამუშაოს, მოთამაშეების, კოლეგების და საფეხბურთო თემის სხვადასხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებით.

3.4. ინდივიდუალური დახმარება გაუწიოს მწვრთნელს (დამსწრე) შერჩეული პროფესიის მოთხოვნების გათვალისწინებით და შესთავაზოს პრაქტიკაში გამოსაყენებელი ტექნიკები და მასთან ერთად მოახდინოს შეცდომების იდენტიფიცირება და გამოსწორების ისინი.

3.5. საკუთარი მაგალითით, განავითაროს მწვრთნელის (დამსწრე) თვისებები და ხელი შეუწყოს საერთო კულტურული და პროფესიონალური ჰორიზონტის გაფართოებას.

3.6. პრაქტიკული სწავლების განმავლობაში შეასრულოს მორალური პასუხისმგებლობა დამსწრის საქმიანობასთან დაკავშირებით.

3.7. დაიცვას აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა და დაადგინოს ის საფეხბურთო დაწესებულება, რომელშიც პრაქტიკული სწავლება ჩატარდება.

IV.

ტუტორის უფლებები

4.1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის თანხმობით, ტუტორს შეუძლია კურსის განმავლობაში მოიწვიოს სხვადასხვა კოლეგა დამსწრეთათვის დამატებითი სწავლებისთვის.

4.2. მოითხოვოს და შეამოწმოს მწვრთნელის ზეპირი და წერილობითი მოხსენებები.

4.3. ტუტორი მონაწილეობს მწვრთნელის (დამსწრე) პროფესიონალურ და საზოგადო საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე დისკუსიებში, რეკომენდაციებს უწევს საფეხბურთო

ორგანიზაციის მენეჯმენტს სტიმულების და სადამსჯელო ზომების მიღებაში და შესაფერისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

4.4. ტუტორს შეუძლია უარი განაცხადოს საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე მინიმუმ ერთი თვით ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორთან წერილობით შეთანხმებით.

ტუტორი ვალდებულია:

1. კურსის დაწყებამდე:

- ა) ჰქონდეს სწავლება მიღებული "ტუტორშიფის პროგრამით".
- ბ) იცოდეს კურსის მიზნები, ამოცანები და პროფესიონალური სტანდარტები;
- გ) დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო კურსებში, რომლებიც რელევანტურია პოტენციური დამსწრისთვის;
- დ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს და თითოეული მწვრთნელისთვის მოამზადოს ინდივიდუალური სტაჟირების გეგმა.

2. კურსის განმავლობაში:

- ა) დაგეგმოს საკუთარი და დამსწრის საქმიანობა რომლებიც თანხვედრაში მოდის "კურსის და რჩევის შესახებ" რეგულიაციასთან;
- ბ) გაანალიზოს და მოამზადოს მოხსენებები სასწავლო სესიების შესახებ (სულ მცირე 100 სტანდარტული საათი, სახელდობრ =96 პრაქტიკა (4 ვარჯიში x 24 კვირა) + 12 მატჩი);
- გ) დაესწროს მწვრთნელის მიერ გამართულ ინდივიდუალურ და გუნდურ დისკუსიებს მოთამაშებთან;
- ა) მხარი დაუჭიროს დამსწრეს და დაგეგმოს მასთან საერთო დისკუსიები;
- ბ) ლიცენზიის აპლიკანტებისთვის თითოეულ თვეში მოამზადოს ერთი სემინარი მიკრო-ჯგუფებში;
- გ) ვარჯიშების და მატჩების შედეგების (როგორც საერთო ასევე ინდივიდუალური) ანალიზი;
- დ) შეამოწმოს დამსწრის მიერ კურსის გეგმის შესრულება და დოკუმენტაციის შევსება;
- ე) კურსის მიმდინარეობის შესახებ წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დეპარტამენტს დადგენილ ვადებში და განსაზღვრულ ფორმაში და დამატებითი მოთხოვნით.

3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს წარუდგინოს ინფორმაცია კურსის დასრულების შესახებ:

- ა) საფუძვლიანი მოსაზრება კურსის შედეგების შესახებ; შესაბამის ფორმაში, რათა მოხდეს შესაბამისი UEFA-ს ლიცენზიის მონაწილისთვის გადაცემა ან არ გადაცემა.
- ბ) რეკომენდაციები მწვრთნელის შემდგომი განვითარებისთვის;
- გ) რეკომენდაციები კურსის ორგანიზების გაუმჯობესების შესახებ. (თუკი ასეთი რეკომენდაციები არსებობს).

4. ტუტორის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები:

- ა) ინდივიდუალური კურსის გეგმის განხორციელება.
- ბ) კანდიდატის მოხსენების დაბალანსება.

V. განსაკუთრებული შემთხვევები

- 1. თუკი მონაწილე არ ეთანხმება მისი საქმიანობის შესახებ შეფასებას კურსის შუა ან ბოლო სტადიაზე მას შეუძლია მოითხოვოს საბოლოო დასკვნის გადახედვა - არაუმეტეს ერთხელ თითოეული მიმართულებით (მწვრთნელის საქმიანობის შეფასება, მწვრთნელობა, მწვრთნელის მიერ თამაშის წარმართვა, კოლეგებთან კომუნიკაცია, მოხსენება პრაქტიკულ ვარჯიშზე და ა.შ)
- 2. თუკი მონაწილე კვლავ არ ეთანხმება ინსტრუქტორის მიერ კურსის შუა ან ბოლო სტადიაზე მისი საქმიანობის შესახებ განმეორებითი შეფასების შედეგებს, მას შეუძლია მიმართოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს, რათა მან გადაამოწმოს დასკვნა - არაუმეტეს ერთხელ თითოეული მიმართულებით (მწვრთნელის საქმიანობის შეფასება, მწვრთნელობა, მწვრთნელის მიერ თამაშის წარმართვა, კოლეგებთან კომუნიკაცია, მოხსენება პრაქტიკულ ვარჯიშზე და ა.შ)

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გადახედვას.

3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს, რომ დააკვირდეს თითოეული კანდიდატის ან ინსტრუქტორის პრაქტიკულ სწავლებას.
4. თუკი ინსტრუქტორი ვერ ან არაადამაკმაყოფილებლად ასრულებს საკუთარ მოვალეობას, ის შეიძლება დათხოვნილი იყოს მისი დამატებითი საქმიანობიდან ნებისმიერ მომენტში, კონტრაქტის პირობების მიხედვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით.

აქტივობის ორგანიზების გრაფიკული ცხრილი და GFF-ს ტუტორთან დოკუმენტების ჩაბარება

თვე	საქმიანობა და დოკუმენტები	ანგარიშგება
	მოდული 1	
	კურსის მონაწილეებისთვის ინდივიდუალური და ჯგუფური რჩევები.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები. თემა: პრაქტიკული ვარჯიშის დაგეგმვა.	GFF-ს
	თითოეული მონაწილისთვის ინდივიდუალური ვარჯიშის გეგმა. პორტფოლიო.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის.	ატესტაციის ფორმები
	მოდული 2	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის.	ატესტაციის ფორმები
	მოდული 3	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები.	
	მონაწილის პორტფოლიო. მწვრთნელის ჟურნალი.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის. რეკომენდაციები გამოსაშვებად.	ატესტაციის ფორმები
	მოდული 4	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის	ატესტაციის ფორმები
	მოდული 5	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების	

	სემინარები.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის	ატესტაციის ფორმები
	მოდული 6	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები.	
	ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში კანდიდატებზე დაკვირვება.	
	მოდულური სერთიფიკაცია. მოხსენება მოდულისთვის	ატესტაციის ფორმები
	პორტფოლიო და მწვრთნელის ჟურნალი.	
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფების სემინარები.	
	აპლიკანტების სერთიფიცირების საბოლოო სია ლიცენზიის გადასაცემად.	
	მთავარი ფინალური ტესტი. (მიკრო-ჯგუფებში)	GFF-ს კომიტეტს

მოხსენების ჩაბარების პერიოდის განმავლობაში, ტუტორი უნდა დააკვირდეს სავარჯიშო სესიებს (ოთხს თითოეული მოდულისთვის) და მატჩებს (ერთს თითოეული მოდულისთვის). სემინარები მოიცავს ვარჯიშებზე დაკვირვებას. ინსტრუქტორი უნდა შეხვდეს კანდიდატებს სულ მცირე კვირაში ერთხელ. მიკრო-ჯგუფების სემინარები მომზადებული უნდა იყოს კურსის თითოეულ სავარჯიშო თემაზე.

სავარჯიშო სესიაზე დაკვირვება:

- კანდიდატთან წინასწარი დისკუსიის გამართვა სავარჯიშო სესიის თემატიკაზე (კურსის თემების მიხედვით).
- მოკლე რეზიუმეს გაცნობა სავარჯიშო სესიაზე.
- სავარჯიშო სესიაზე დაკვირვება.
- კანდიდატების მიერ ფეხბურთელებთან გამართულ ინდივიდუალურ დისკუსიაზე დაკვირვება.
- კანდიდატთან სავარჯიშო სესიის შეჯამება და მასთან დისკუსიის გამართვა. მეთოდური რეკომენდაციები.
- დისკუსია თემებზე სავარჯიშო სესიის დასრულების შემდეგ. სამუშაო გეგმის განახლება.

მატჩზე დაკვირვება:

- წინასწარი დისკუსიის გამართვა კანდიდატთან (მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები, სქემა ა.შ).
- კანდიდატის მიერ გუნდთან გამართულ წინასამატჩო საუბარზე დაკვირვება.
- კანდიდატზე დაკვირვება მატჩის მსვლელობისას (უმჯობესია სათადარიგო სკამიდან).
- კანდიდატის მიერ პირველი ტაიმის შესვენების დროს გამართულ საუბარზე დაკვირვება.
- კანდიდატის მიერ მატჩის შემდგომ გუნდთან გამართულ საუბარზე დაკვირვება.
- გუნდის თამაშის შეჯამება და დისკუსიის გამართვა კანდიდატთან ერთად. მეთოდური რეკომენდაციები.
- მომდევნო თამაშზე დაკვირვების დაგეგმვა.

მიკრო-ჯგუფის სემინარი:

- სემინარი ორიენტირებულია ერთი კანდიდატის პრაქტიკულ ვარჯიშზე.
- მასპინძელი კანდიდატი გეგმავს სავარჯიშო სესიას, რომელსაც მისი კოლეგები უწყურებენ და აფასებენ.
- სავარჯიშო სესიის დასრულების შემდეგ, კანდიდატები განიხილავენ და აანალიზებენ მას.
- ინსტრუქტორი აკვირდება. შემდეგ ის სთავაზობს მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს, აჯამებს სემინარს, ადგენს მომდევნო სემინარის თარიღს.

სამაგისტრო ტესტი პრაქტიკული ვარჯიშის ბოლოს

თითოეული კანდიდატისთვის სამაგისტრო ტესტი და მისი შეფასება უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 45 წუთი:

1. პრეზენტაცია 10 წუთი
2. კითხვები (პედაგოგებისგან და კოლეგებისგან) 10 წუთი
3. ვარჯიში 15 წუთი
4. პედაგოგის შეფასება 5 წუთი
5. კომენტარები და დაკვირვებები კანდიდატისთვის 5 წუთი

დავალებები

კურსი შექმნილია, რათა კანდიდატი დაეუფლოს ვარჯიშების, მატჩების მოკლე რეზიუმის გაკეთების, სამოყვარულო და პროფესიონალური გუნდების მომზადების უნარებს. იმისათვის, რომ კანდიდატი სრულყოფილად დაეუფლოს ამ უნარებს, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს პრაქტიკულ საქმიანობებში.

ამ მიზნისთვის, კურსის დროს მონაწილემ უნდა შეასრულოს განსხვავებული დავალებები. პრაქტიკული დავალებების შესრულებით და მათი ანალიზით ის სრულყოფს LFC-ს თვისებებს პედაგოგის, კოლეგების და პრაქტიკული ტრენინგის ინსტრუქტორების დახმარებით. დავალებების შედეგები, რომლებიც მოიცავს მის მიერ შესრულებული დავალების ანალიზსა და შეფასებას, შეადგენს მის ინდივიდუალურ ფაილს ან პორტფოლიოს.

ქვემოთ წარმოდგენილია პორტფოლიოს, დავალებების და მეთოდების განმარტება და მათი შესრულების გზები, რომლებშიც შემოთავაზებულია მხარდაჭერა და კოლაბორაცია.

რა არის პორტფოლიო და მწვრთნელის საქმიანობის ინდივიდუალური ჩანაწერი?

პორტფოლიო არის დოკუმენტი ან ფაილი (ციფრულ ფორმატში), რომელიც შეიცავს ინფორმაციას დამსწრის შესახებ და წარმოადგენს შედეგების შეფასებას და კურსზე დასწრების შედეგებს. დაგროვილი ინფორმაცია განკუთვნილია, იმისთვის რომ მკაფიოდ გამოჩნდეს მონაწილის LFC-ს თვისებების განვითარება და განმტკიცება. ეს ინფორმაცია განკუთვნილია როგორც დამსწრისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარისთვის. სასწავლო პერიოდის დროს მონაწილე ავსებს მის ფაილს პრაქტიკაში შესრულებული დავალებების შედეგებით.

პორტფოლიოს აქვს ორი მიზანი

- ის არის დამსწრის LFC თვისებების და უნარების განვითარების დამამტკიცებელი საბუთი;
- ის აფასებს დამსწრის როგორც LFC-ს თვისებებს (შესაძლებლობებს).

უნარების განვითარება

სასწავლო კურსის განმავლობაში პორტფოლიო გამოიყენება დამსწრის კომპეტენციის და უნარების განვითარებაზე დასაკვირვებლად. ამ კუთხით დამსწრის უნარების განვითარებაზე დაკვირვება და ანალიზი მნიშვნელოვანი საკითხია: თითოეულ დავალებას სჭირდება მონაწილის მიერ შესრულებული დაკვირვებული ანალიზი, რომელსაც თან ერთვის შემდეგი ნაბიჯები:

- სხვა პირების რჩევების და დახმარების გამოყენება (კოლეგები, პედაგოგი, პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორი და ა.შ) იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს დავალების შესრულების მიდგომა და სამუშაო მეთოდები;
- დავალების დასრულების შემდეგ, იმ ელემენტების ახსნა-განმარტება, რომლებმაც გაამართლა და რომლებმაც ბოლომდე ვერ გაამართლა, მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაში;
- დავალების დასრულების შემდეგ, გარკვეული პრაქტიკული მაგალითების პრეზენტაცია, იმისთვის რომ დამტკიცდეს რატომ გაამართლა გარკვეულმა რამემ და რატომ არ გაამართლა;
- აღწერა თუ რა უნდა გაუმჯობესდეს სამომავლოდ.

პორტფოლიო მოიცავს დავალებების შედეგებს, ისევე როგორც შეფასებას და ანალიზებს. პედაგოგი ან ინსტრუქტორი იყენებს ამ ფაილს რათა დამსწრეს გაუწიოს დახმარება. კურსის განრიგი უზრუნველყოფს დროს იმ პერიოდებს, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნისთვისაა განკუთვნილი

პორტფოლიო უნდა შეიცავდეს შემდეგ სექციებს:

- 1) მწვრთნელის პროფილი შესაბამისი UEFA-ს ლიცენზიისთვის.
- 2) კურსის დასაწყისში თვით-შეფასების კითხვარი.
- 3) პირადი სასწავლო მიზნები.
- 4) პრაქტიკული სასწავლო გეგმა.
- 5) პორტფოლიოში უნდა იყოს შესული კურსის განმავლობაში დამსწრის მიერ შესრულებული ყველა დავალება.
- 6) პორტფოლიოში უნდა იყოს შესული კურსის დროს გამოყენებული ყველა მეთოდური მასალა (პრეზენტაციები, ანალიზები ა.შ).
- 7) თითოეული მოდულის ანალიზი (მათ შორის კლუბში ჩატარებული პრაქტიკული ნაწილი).
- 8) მწვრთნელის ჟურნალი (ვარჯიშები და მატჩები).
- 9) კურსის ბოლოს თვით-შეფასების კითხვარი.
- 10) პირადი დასკვნები და მიზნები სამომავლოდ.

შეფასება

ამასთან, პორტფოლიო შესაძლოა გამოყენებული იყოს, რათა განისაზღვროს საკმარისად დაეუფლა თუ არა დამსწრე გარკვეულ შესაძლებლობას, უნარს და თვისებას. ამ შემთხვევაში სპეციფიკური დავალების შედეგი, რომელსაც თან ერთვის მისი ანალიზი, დაკვირვებით უნდა იყოს შეფასებული.

კურსი შეფასებულია კვალიფიკაციების (QT) და სამაგისტრო ტესტით.

პორტფოლიოს აფასებს ტუტორი და კურსის კოორდინატორი.

სამწვრთნელო საქმიანობის ჩანაწერების ჟურნალში უნდა შევიდეს:

1. წლიური დაგეგმვა (სასწავლო პერიოდები).
2. პერიოდიზაციის დაგეგმვა (მომზადება, შეჯიბრი, ტრანზიციის პერიოდები)
3. მიმდინარე დაგეგმვა (მიკრო-ციკლები)
4. სამოქმედო გეგმის შედგენა (ვარჯიშის დროს გაკეთებული ჩანაწერები).
5. ტესტების და სხვადასხვა მასალის შედეგები, რომლებიც სამწვრთნელო საქმიანობას ასახავენ (მატჩების ანალიზი და სეზონის შედეგები, ინდივიდუალური გეგმა მოთამაშეებისთვის და სხვა კვლევები და მასალები სამწვრთნელო საქმიანობის შესახებ).
6. წინა ლიცენზიების დროს გამოყენებული ყველა დამხმარე სასწავლო საშუალება.

მასალები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ელექტრონულ ფორმატში, საგამოცდო კომიტეტისთვის ჩაბარების შესაძლებლობით.

დავალებების მოკლე პრეზენტაცია

პედაგოგები და ინსტრუქტორები აკვირდებიან და მოსაზრებებს გამოთქვამენ დავალებების შესახებ მაქსიმუმ ორჯერ. თუკი პედაგოგი ან ინსტრუქტორი შედეგით არაა კმაყოფილი დამსწრემ განმეორებით უნდა შეასრულოს ის. დავალება ითვლება შესრულებულად, თუკი მას თან ერთვის დაკვირვება და ანალიზი.

დამსწრემ, ყველა დავალებაზე მის მიერ შესრულებული ანალიზი (თვით-შეფასება და თვით-ანალიზი) უნდა აღწეროს ზოგადი დებულებებით:

- ის მეთოდი, რომლითაც მან შეასრულა დავალება;
- რა შეასრულა წარმატებით, წარუმატებლად და დამაკმაყოფილებლად;
- მისი აზრით რამ გაამართლა და რამ არ გაამართლა;
- სად არის თვალსაჩინო გაუმჯობესება და პროგრესი ამ კუთხით და მისი მიზანი;
- რისი გაუმჯობესება სურს დავალების მიზანთან დაკავშირებით;
- რის გაკეთებას განიზრახავს მომავალში, რათა განამტკიცოს მისი ქმედებები დავალების კუთხით.

თვით-შეფასების და თვით-დაკვირვების შესახებ მომდევნო კითხვები თან ახლავს მრავალ დავალებას, რათა შესრულდეს საქმიანობის სფეროს შესახებ სხვადასხვა საკითხის უფრო ღრმა ანალიზი:

- ვაკეთებ თუ არა იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე?
- ვაკეთებ თუ არა სწორად?
- სწორი ხელმძღვანელობით ვაკეთებ თუ არა იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე?

ანალიზის და დაკვირვებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ პირადი მიზნები და ფეხბურთის პროფესიონალი მწვრთნელის პროფილი 'მთავარ ორიენტირად'.

დავალებები შეიძლება იყოს ორგვარი: განვითარებისთვის ან შეფასებისთვის განკუთვნილი. განვითარებისთვის საჭირო დავალებები სავალდებულოა და გაფორმებულია პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორის და პედაგოგის მიერ. თუმცა, ისინი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საბოლოო ტესტშიც.

შესაფასებელი დავალებები ქმნის პროდუქტს (ანალიზები, მოხსენება, წლიური გეგმის რეგისტრაცია და აშ.), რომელიც შესულია კვალიფიკაციის ტესტში. ასევე, კვალიფიკაციის ტესტში შეიძლება შევიდეს პრაქტიკული გამოცდა და/ან გასაუბრება.

დამსწრის პორტფოლიო ან ფაილი საჩვენებელი ნიმუშია: ამიტომ საქალაქო (ციფრული) უნაკლოდ უნდა გამოიყურებოდეს.

მხარდაჭერა

დავალეები არის კურსის ყველა ელემენტის დამაკავშირებელი. სემინარებზე, დამსწრემ უნდა მიიღოს მასალა, რომელიც დავალების უკეთესად შესრულებაში დაეხმარება მას. დავალების დასაწყისში, მნიშვნელოვანია დაკვირვების პირველი ნაბიჯი: როგორ უნდა შევასრულო ის და ვიპოვო მისი გადაჭრის გზა?

ამ საკითხზე დამსწრეს შეუძლია გაიაროს კონსულტაცია სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებთან (კოლეგები, პედაგოგი, ტუტორი). იმ შემთხვევაში თუ ის არ არის დარწმუნებული რისი გაკეთება ევალება, სჯობს არ შეასრულოს დავალება. მკაფიო გახადეთ დავალების მიზნები! დავალების ღრმად გააზრება გულისხმობს დამსწრის მიერ შესაბამისი კითხვების დასმას, რომელიც პროგრამის სპეციალური სემინარების ნაწილია.

ჯგუფური სემინარების დროს, ინსტრუქტორის პედაგოგმა უნდა წარმოადგინოს მისი დაკვირვებები და გამოთქვას მოსაზრებები დამსწრის ფაილის შესახებ.

პირადი სასწავლო მიზნები

ფეხბურთის პროფესიონალი მწვრთნელის დავალება უკეთესი გახადოს მისი გუნდი, რათა მოიგოს მატჩების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა, თუმცა ახალგაზრდული ფეხბურთისთვის ეს მიზნები შესაძლოა განსხვავებული იყოს. რა უნდა გააკეთოს მწვრთნელმა ამისთვის? მან შემდეგი დავალებები უნდა შეასრულოს:

1. სამწვრთნელო საქმიანობა მატჩების განმავლობაში.
2. ვარჯიშების ჩატარება.
3. მოთამაშეების განვითარებაზე დაკვირვება და კონტროლი.
4. გუნდის განვითარების პროცესებზე დაკვირვება და მათი მართვა.
5. საფეხბურთო ორგანიზაციის (FF) სტრატეგიების და სამოქმედო კურსის მხარდაჭერა და მათი განვითარება.

სამწვრთნელო ლიცენზიის თითოეულ ეტაპზე დავალებების სწორ შესრულებას სჭირდება გარკვეული კვალიფიკაციები, უნარები და კომპეტენციები. უნარებს შესაძლოა თვისებებიც ეწოდოს. სხვა სიტყვებით, მონაწილემ მატჩების განმავლობაში უნდა შეასრულოს სამწვრთნელო და სადამრიგებლო ფუნქცია მოთამაშეებისთვის, უნდა ჩაატაროს ვარჯიშები, უნდა დააკვირდეს და უხელმძღვანელოს მოთამაშეების განვითარებას და შეიმუშაოს და/ან განამტკიცოს სტრატეგია.

კონკრეტულად რას ნიშნავს ეს თქვენი როგორც პროფესიონალი ფეხბურთის მწვრთნელის/ინსტრუქტორის (სამომავლო) საქმიანობაში?

დამსწრისთვის მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას ყველა იმ საქმიანობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ზემოთხსენებულ მიზნებთან. ამ მიზნების შესრულებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატის მიერ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების ცოდნას. მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რისი დამტკიცებაც შეძლო მონაწილემ პრაქტიკაში, ამაზე უნდა შეუწყოს მას მისი როგორც მწვრთნელის სამომავლო

განვითარებას. ასევე, გთხოვთ შეაფასოთ საკუთარი თავი თქვენი სამწვრთნელო/სადამრიგებლო გამოცდილების მიხედვით. ჩვენ ასევე ვითხოვთ, რომ ორმა პირმა შეაფასოს თვით-შეფასების კითხვარი; ის პირები, რომლებიც გიცნობენ, როგორც მწვრთნელს ან ინსტრუქტორს და რომელთა აზრი - შეფასების მეთოდი - დაგეხმარებათ. შეადარეთ სხვა პირების მიერ გამოთქმული აზრი თქვენს შთაბეჭდილებებს და გამოცდილებებს. თუკი რაიმე გაურკვეველია, მოითხოვეთ განმარტებები.

თვით-შეფასების კითხვარის მიხედვით, გთხოვთ უპასუხოთ მომდევნო კითხვებს:

- რა კვალიფიკაციებს და შესაძლებლობებს ვფლობ ამჟამად?
- რა არის ჩემი ძლიერი მხარეები? (რისი გაკეთება შემიძლია და რისი არა)
- რა არის ჩემი თვისებები? (ზოგადი ვითარება)
- რომელ სასწავლო მიზნებს ვისახავ საწყისი ვითარების გათვალისწინებით? პირადი სასწავლო მოთხოვნები და LFC-ს პროფილი?
- რაში ვისურვებდი გავხდე უკეთესი?
- რომელი უნარების გაუმჯობესება მსურს? რთული პრობლემების (გამოწვევების) გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია პირად მიზნებთან და კურსის პროფილთან.

კურსის განმავლობაში, მონაწილემ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა, იმისთვის რომ დავალებების შესრულებით მიაღწიოს თავის სასწავლო მიზნებს. სასწავლო პერიოდის დროს, კოლეგებისგან, პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორისგან, პედაგოგებისგან, მწვრთნელებისგან, მეთოდისტებისგან და ექსპერტებისგან ის მიიღებს უკუკავშირს, გამოთქმულ მოსაზრებებს და დაკვირვებებს. საბოლოოდ, პირადი სასწავლო მიზნების და თვით-შეფასების კითხვარის მონაცემებზე დაყრდნობით, მონაწილემ უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი თვისებების განვითარების მეთოდები. ეს გამოიყენება როგორც კურსის პერიოდის განმავლობაში, ასევე, განსაკუთრებით მისი სამომავლო პროფესიული საქმიანობის დროსაც.

თვით-შეფასების კითხვარი	
1 შეავსეთ მთლიანად და დამოუკიდებლად თვით-შეფასების კითხვარი.	
2 სთხოვეთ ორ პირს მაქსიმალურად ობიექტურად შეავსოს თვით-შეფასების კითხვარი თქვენთვის.	
3 სთხოვეთ ამ პირებს გამოთქვან მოსაზრება ნებისმიერ შესაძლო უთანხმოებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უთანხმოებები არ წამოიჭრება ან მათი რაოდენობა იქნება მცირე, გამოკითხვიდან მიღებულ მონაცემებზე მსჯელობა მაინც ინფორმატიული და სასარგებლო იქნება.	
1. გულმოდგინება, კომუნიკაცია და სოციალური ფაქტორები.	
1.	ჩემი დამოკიდებულება სამუშაოსადმი (ენტუზიაზმი).
2.	სწავლის და სწავლების გაგრძელების სურვილი.
3.	კომუნიკაცია, ურთიერთობა კოლეგებთან, მენეჯმენტი, მშობლები.
4.	მოთამაშებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია და მათი მოსმენის უნარი.
5.	მზრუნველობა, პუნქტუალურობა და პასუხისმგებლობა.
6.	დოკუმენტებთან მუშაობა.
7.	საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
8.	სწავლება.
9.	თვალსაჩინო უნარები.
10.	თამაშის წესების და სულისკვეთების ცოდნა და მათი მიხედვით მოქმედება.
11.	შესაბამისი ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია სპორტის ეთიკასთან და ზავშვის

	მზურნველობის პრინციპებთან.
12.	გუნდზე სოციალური პრობლემების გავლენის ცოდნა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულება.
2. მატჩები	
1.	სამოყვარულო, ბავშვთა ან ახალგაზრდული თამაშის მიმართ პატივისცემა.
2.	საკუთარი გუნდის თამაშის ანალიზი.
3.	სხვადასხვა სათამაშო სისტემის და სტილის ცოდნა.
4.	მოთამაშეების როლის ცოდნა და ძირითადი მოთხოვნები მათ სათამაშო მოვალეობებთან დაკავშირებით.
5.	თამაშისთვის გუნდის მომზადება (გუნდის სტრუქტურის შექცევა, პოზიცია და ა.შ).
6.	მატჩების განმავლობაში გუნდის გაწვრთნა სამოყვარულო და/ან ახალგაზრდული დონეზე.
7.	მატჩების ანალიზი.
3. ვარჯიშები	
1.	სეზონის გეგმის დეტალური, როგორც ტაქტიკური, ასევე ფუნქციური ჩამოყალიბება.
2.	სამოყვარულო, საბავშვო ან ახალგაზრდულ დონეზე ყოველკვირეული გეგმის დეტალური ჩამოყალიბება.
3.	ტაქტიკური ვარჯიშების მომზადება და განვითარება (გაკვეთილის მიზანი, შინაარსი, ვარჯიშები და სასწავლო ეტაპები).
4.	ფიტნესის ვარჯიშების მომზადება და განვითარება (მოქმედების მიზანი, შინაარსი, ვარჯიშები, მეთოდოლოგიური ეტაპები და ა.შ).
5.	ცალკეული ვარჯიშების მომზადება.
6.	ეფექტური სასწავლო მეთოდების გამოყენება (პრობლემების გადაწყვეტა, ინდუქციური სწავლების მეთოდი, დამრიგებლობა).
7.	გაკვეთილების განმავლობაში სამწვრთნელო საქმიანობა გუნდისთვის/მოთამაშეებისთვის, რომლებიც თანხვედრაში მოდის მოთამაშეების დონესთან და/ან ასაკთან.
8.	ფიზიკური შესაძლებლობების პრინციპების ცოდნა (ბალანსი დავალებასა და შესაძლებლობას შორის, აღდგენა და ა.შ).
9.	ტრავმის და მათი პრევენციის პრობლემების ცოდნა.
10.	პოზიტიური და საინტერესო სასწავლო ატმოსფეროს შექმნა.
4. გუნდის და მოთამაშეების განვითარება	
1.	სამოყვარულო და (ან) ბავშვების და ახალგაზრდულ დონეს შორის ლიდერშიფის, მენეჯმენტის და სამწვრთნელო საქმიანობის განსხვავების ცოდნა.
2.	სხვადასხვა მიდგომის გამოყენება ლიდერშიფთან დაკავშირებით (შტაბის ჩართულობა, უფლებამოსილებით აღჭურვა, ავტორიტარული მიდგომა).
3.	თქვენი ხედვა სამოყვარულო და (ან) საბავშვო და ახალგაზრდული დონის შესახებ.
4.	გუნდის შეკრება სამოყვარულო და (ან) საბავშვო ან ახალგაზრდულ დონეზე.
5.	სტანდარტების განსაზღვრა (მოთამაშეებისთვის პირადი მაგალითის შეთავაზება).
6.	გუნდის მიზნების განსაზღვრა.
7.	ხალხთან კომუნიკაცია (მოთამაშეები, მწვრთნელები და ა.შ).
8.	სამოყვარულო და (ან) საბავშვო და ახალგაზრდულ დონეზე სხვების მოტივაცია და შთაგონება.
9.	გარკვეული შესაბამისი შეფასების მეთოდების გამოყენება, დაკვირვება და უკუკავშირი.
5. ანალიზის უნარი	
1.	ახერხებს თუ არა მოთამაშეების მთავარი შეცდომების დანახვას.
2.	მოთამაშეების კარგი ქმედებების იდენტიფიცირება.
3.	მოთამაშეების ინდივიდუალური ზრდის და ვირტუოზობის ანალიზი.
4.	საკუთარი საქმიანობის ანალიზი და პირადი მიზნების განსაზღვრა.
6. პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი	

1.	გადამწყვეტი ფაქტორების ცოდნა.
2.	დავალების და მოთამაშეების კვალიფიკაციის დონეს შორის შესაბამისობის განსაზღვრა.
3.	დიდაქტიკური პრინციპების გამოყენება.
4.	არსებული მოთამაშეებით თამაშის გადაწყობის უნარი.
7. კლუბის პოლიტიკა	
1.	კლუბის სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ საქმიანობაში მონაწილეობა და (ან) კლუბის განვითარების გეგმის განხორციელება ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის.
2.	საფეხბურთოს ორგანიზაციის სტრუქტურის ცოდნა.
8. სამწვრთნელო საქმიანობის ჩანაწერების ჟურნალი	
1.	დაგეგმვა და გრაფიკის შედგენა.
2.	სამწვრთნელო საქმიანობის ანალიზი (ვარჯიშები, მატჩები, ტესტები და ა.შ.).

შესავალი ინდივიდუალური განვითარების და თვით-შეფასების შესახებ.

კურსის განმავლობაში მონაწილე უნდა დაეუფლოს მთავარ კრიტერიუმს, რომელიც აღწერილია პროფილში. ამავდროულად, დამსწრემ უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა და მიაღწიოს პირად მიზნებს, რომლებიც მოამზადა დავალებების შედგენისას. გარდა დაკვირვების და დავალებების ანალიზისა, დამსწრე მიიღებს რჩევას, გამოთქმულ მოსაზრებებს და ა.შ კოლეგებისგან პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორისგან და პედაგოგისგან. რამდენჯერმე, კურსის განმავლობაში დამსწრის შუალედური შეფასება შეიძლება სასარგებლო გამოდგეს მისი პირადი განვითარებისთვის.

ამის გაკეთებას შეძლებთ სხვადასხვა დავალებაზე (მათ შორის სხვა პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებებით და მიღებული ინფორმაციით) დაკვირვებების და ანალიზის შედარების შედეგად იმ კრიტერიუმთან, რომელიც პროფილშია დადგენილი და პირად სასწავლო მიზნებთან. ასეთი თვით-შეფასების დროს დამსწრემ შესაძლოა განსაზღვროს კურსის განმავლობაში მის მიერ მიღწეული დონე და გაარკვიოს რისი გაკეთება შეუძლია საკუთარი თვისებების გასაუმჯობესებლად. ცხადია, ეს ვალიდურია კურსის შემდეგ პერიოდშიც.

პირადი სასწავლო მიზნები	
დავალება	ჩამოაყალიბეთ პირადი მიზნები "თვით-შეფასების კითხვარის" მონაცემებზე დაყრდნობით (მწვრთნელის/ინსტრუქტორის (LFC) კვალიფიკაციის პროფილის გათვალისწინებით და ფორმები 'ინდივიდუალური სასწავლო მიზნები').
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	ამ დავალებამ დამსწრეს უნდა ასწავლოს: <ul style="list-style-type: none"> - რა უნარები, შესაძლებლობები და მთავარი კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს დამწყებ LFC-ს; - ადრე დაუფლებული უნარების და/ან კვალიფიკაციების შედარება პირად გამოწვევებთან, რთული დავალებები/სასწავლო მოთხოვნები და LFC-ს კვალიფიკაციის პროფილი; - იმ სფეროების განსაზღვრა, რომელშიც პროფესიონალური განვითარებაა საჭირო, იმისთვის რომ ფეხბურთის მწვრთნელის პროფესიონალური კომპეტენციის პროფილი შეესაბამებოდეს მას და იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას ინდივიდუალური

	<p>სამწვრთნელო მიზნები;</p> <ul style="list-style-type: none"> - ინდივიდუალური სასწავლო მიზნების და საჭიროებების ჩამოყალიბება; - საქმიანობის დაგეგმვა სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას; - მიღწეული და ჯერ კიდევ განსახორციელებელი სასწავლო მიზნების ანალიზი. - სასწავლო მიზნების და სამოქმედო სქემის შესაბამისობა, რომლებიც მიზნად ისახავენ მათ მიღწევას.
<p>სად უნდა შეასრულო დავალება?</p>	<p>საფეხბურთო ორგანიზაცია.</p>
<p>როგორ შეასრულებ დავალებას?</p>	<p>ეტაპები რომელთა მეშვეობითაც დავალებები შეიძლება შესრულდეს. თვით-შეფასების კითხვარი.</p> <p><u>ნაბიჯი 1</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. მთლიანად შეავსეთ თვით-შეფასების კითხვარი. 2. სთხოვეთ ორ პირს შეგივსოთ თქვენი შესაფასებელი კითხვარი, რაც შეიძლება ობიექტურად; 3. სხვადასხვა პირის მიერ კითხვარის შევსებისას გამოიყენება განსხვავებული ფერი. 4. სთხოვეთ ამ პირებს გამოთქვან მოსაზრება ნებისმიერ შესაძლო უთანხმოებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უთანხმოებები არ წამოიჭრება ან მათი რაოდენობა იქნება მცირე, გამოკითხვიდან მიღებულ მონაცემებზე მსჯელობა მაინც ინფორმატიული და სასარგებლო იქნება. <p><u>ნაბიჯი 2</u></p> <ol style="list-style-type: none"> 2.1 შეავსეთ პროფილის 'საორიენტაციო ვითარება/არასათანადო კვალიფიკაცია და გასაჩივრება'. (მარცხენა და მარჯვენა სვეტი) თვით-შეფასების კითხვარის მონაცემებზე დაყრდნობით და ინსტრუქტორთან გასაუბრებით. <p><u>ნაბიჯი 3</u></p> <ol style="list-style-type: none"> 3.1 სასწავლო საჭიროებების ჩამოყალიბება/მოთხოვნები, რომლებიც დამყარებულია ძირითადი ვითარების/არასათანადო კვალიფიკაცია და გასაჩივრება/სასწავლო საჭიროებების შედარებაზე პროფილთან (მარცხენა და მარჯვენა სვეტი) 3.2 განსაზღვრეთ რა პასუხობს სასწავლო მოთხოვნებს/საჭიროებებს და რა დამატებით კითხვები შეიძლება უძღოდეს წინ მთავარი და მეორადი მიზნების მიღწევას. <p><u>ნაბიჯი 4</u></p> <ol style="list-style-type: none"> 4.1 აღწერეთ სასწავლო აქტივობები, იმისთვის რომ პასუხები გასცეთ კითხვებს და მიაღწიოთ დასახულ მიზნებს. 4.2 განსაზღვრეთ განრიგი (იხ პრაქტიკული სასწავლო გეგმა). 4.3 მოიაზრეთ ვისთან ერთად ან სად ჩატარდება ღონისძიება ან აქტივობა; (იხ პრაქტიკული სასწავლო გეგმა) <ul style="list-style-type: none"> ▪ იყავით უფრო აკურატული და კონკრეტული (რა მხრივ გსურთ მიიღოთ გაუმჯობესება); ▪ განსაზღვრეთ სასურველი შედეგი (როდის უნდა დაკმაყოფილდეთ): სცადეთ აღწეროთ ის ინსტრუქტორის და მწვრთნელის საქმიანობასთან კავშირში; ▪ შეთანხმდით სასწავლო მიზნებზე კურსის

	<p>პედაგოგთან/ტუტორთან და/ან პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორთან;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ დაისახეთ განხორციელებადი მიზნები; ▪ განსაზღვრეთ ქმედებები, რომელთა შესრულებაც უნდა განაგრძოთ სასწავლო მიზნების მისაღწევად: მოამზადეთ გრაფიკი და განსაზღვრეთ ვინ უნდა დაგეხმაროთ სათანადო აქტივობებში.
რა უნდა იყოს დავალების შედეგი?	“თვით-შეფასების” კითხვარი, რომელსაც თან დართული აქვს სასწავლო მოთხოვნების და მიზნების აღწერა, ისევე როგორც საქმიანობები, რომლებიც უნდა შესრულდეს, რათა მიღწეულ იქნას სასწავლო მიზნები (იხ ‘პირადი სასწავლო მიზნების’ ფორმა).
კრიტერიუმი	იხ LFC-ს კომპეტენციის პროფილი (UEFA-ს კონვენცია).
შედეგი	იხ LFC-ს კომპეტენციის პროფილი (UEFA-ს კონვენცია).
მხარდაჭერა	<p>პრაქტიკული ვარჯიშის ინსტრუქტორი და პედაგოგი/ტუტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - დამსწრესთან დისკუსიის გამართვა შესაძლებლობების და ვარიანტების შესახებ განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან კავშირში და მოქმედება, რომელიც უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ ამას მიაღწიო; - უპასუხეთ დამსწრის კითხვებს კომპეტენციის პროფილის და მთავარი კრიტერიუმის შესახებ; - უპასუხეთ დამსწრის კითხვებს თვით-შეფასების კითხვარის მომზადებასთან დაკავშირებით, სასწავლო მოთხოვნები/მიზნები (“პირადი სასწავლო მიზნების” ფორმა); - რჩევების და ინსტრუქციების მიცემა ასეთ მომზადებისთვის და საგულდაგულოდ შემუშავებისთვის; - დისკუსიის გამართვა დამსწრის სასწავლო მოთხოვნების და მიზნების შესახებ.
პრეზენტაცია	იხილეთ პრაქტიკული სწავლების გეგმა.
დასრულება	მოიცავს ინსტრუქტორის დაკვირვებებს და გამოთქმულ მოსაზრებებს.

პრაქტიკული სწავლების გეგმის შესავალი

სად უნდა შეასრულოთ დავალები?

არსებობს ორი “ლოკაცია”, სადაც მონაწილეებმა შესაძლოა შეასრულონ სხვადასხვა დავალები: ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების დროს საკუთარ გუნდთან, სამუშაო ადგილზე და გუნდის წვრთნის პროცესში, რომელიც კურსის მოთხოვნებს შეესაბამება (მაგალითად UEFA-ს B ლიცენზია- ახალგაზრდები 15 წლამდე ან ზემოთ ან ზრდასრულთა სამოყვარულო გუნდი). აპლიკანტს შესაძლოა ეკავოს მთავარი მწვრთნელის პოზიცია, მაგრამ ამისათვის ის უნდა ფლობდეს საკმარის უნარებს იმისათვის, რომ პირადად განხორციელოს სასწავლო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული ფუნქციები. (დამოუკიდებლად გაუძღვეს ვარჯიშს ან თამაშს ან ჩაატაროს ინდივიდუალური ან გუნდური საუბრები).

„დავალების შესრულების ლოკაციის“ კრიტერიუმები:

- მონაწილე უნდა იყოს აქტიური და დავალებების შესრულებით მოიპოვოს გამოცდილება;

- საჭირო პირობებით უზრუნველყოფა: თვითსწავლების შესაძლებლობა და ინფორმირებულობა შეცდომების შესახებ.
- ვითარება / კონტექსტი უნდა შეესაბამებოდეს დავალების შესრულებისთვის საჭირო / განსაზღვრულ დონეს და იმ დონეს, რომლისთვისაც მონაწილე ემზადება;
- პრაქტიკული წვრთნის ინსტრუქტორი ხელმისაწვდომი უნდა იყოს (რეგულარულად) იმისათვის, რომ გამოთქვას მოსაზრებები და მონაწილეებს გაუწიოს რეკომენდაციები დავალებების შესრულებისთვის.
- ლიცენზიის აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ინსტრუქტორს ჰქონდეს გარანტირებული წდომა საფეხბურთო ორგანიზაციასთან, რათა მან შეძლოს მონიტორინგის ჩატარება.

1. პრაქტიკული სწავლების გეგმა	
დავალება	პრაქტიკული სწავლების გეგმის შექმნა.
მიზანი	ეს დავალება გასწავლით: - როგორ მოამზადოთ <u>განრიგდ</u> , რომელიც შეესაბამება კურსის გრაფიკს; - გამოიმუშაოთ სრული ხედვა, თუ <u>სად</u> და <u>როგორ</u> უნდა შეასრულოთ დავალება და ვინ უნდა დააკვირდეს პროცესს <u>პრაქტიკული წვრთნის ინსტრუქტორის რანგში</u> .
<u>აპლიკანტი</u> როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	ლონისძიებები, რომლითაც შეიძლება შესრულდეს დავალება - განახორციელოს საჭირო მოსამზადებელი ეტაპები პრაქტიკული წვრთნის ინსტრუქტორთან ერთად; - გაიაროს კონსულტაციები კლუბთან (სადაც მონაწილე ასრულებს მის პრაქტიკულ სწავლებას); - შეისწავლოს დავალებები და მოამზადოს გრაფიკი პრაქტიკული სწავლების გეგმის გამოყენებით; - პედაგოგის/ მწვრთნელის თანხმობის მისაღებად წარმოადგინოს პრაქტიკული სწავლების გეგმა.
რა უნდა იყოს დავალების შედეგი?	პრაქტიკული სწავლების გეგმა.
ინსტრუქტორი მხარდაჭერა	პრაქტიკული წვრთნის ინსტრუქტორი და პედაგოგი/მწვრთნელი: - მონაწილეებთან ერთად განიხილავენ გრაფიკს / პრაქტიკული სწავლების გეგმას; - პასუხობენ მონაწილეთა შეკითხვებს გრაფიკის / პრაქტიკული სწავლების გეგმის შესახებ; - აძლევენ რჩევებს გრაფიკის / პრაქტიკული სწავლების გეგმის შესახებ.
რას შეიძლება შეიცავდეს პრაქტიკული სწავლების გეგმა	
დავალება	ჩამოაყალიბეთ თქვენი პირადი მიზნები პრაქტიკული სწავლებისთვის.
დავალების ტიპი	განვითარება
მიზანი (დოკუმენტის გეგმა)	1. რა უნარები, შესაძლებლობები და მაკონტროლებელი კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს მწვრთნელს UEFA-ს ლიცენზიისთვის; 2. ადრე შეძენილი უნარების და/ან კვალიფიკაციის შედარება პირად გამოწვევებთან, რთულ დავალებებთან/აკადემიურ საჭიროებებთან და მწვრთნელის საკვალიფიკაციო პროფილთან; 3. იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომელშიც პროფესიული განვითარებაა აუცილებელი საფეხბურთო მწვრთნელის პროფესიონალური კომპეტენციის პროფილისა და პირადი

	<p>სასწავლო მიზნების მისაღწევად;</p> <p>4. პირადი საჭიროებების და სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება;</p> <p>5. სწავლების საჭიროებებთან შესაბამისობაში მყოფი მოქმედებების დაგეგმვა, რომელიც ემსახურება სასწავლო მიზნების მიღწევას;</p> <p>6. მიღწეული და განსახორციელებელი სასწავლო მიზნების გაანალიზება;</p> <p>7. სასწავლო მიზნების და/ან სამოქმედო გეგმის რეგულირება, რომელიც ხელს უწყობს ამ მიზნების მიღწევას.</p>
<p>როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?</p>	<p>ნაბიჯები, რომელთა მეშვეობით შესაძლოა დავალებები შესრულდეს;</p> <p>ნაბიჯი 1 ფორმულირება:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა უნარები, შესაძლებლობები და მაკონტროლებელი კრიტერიუმი უნდა ჰქონდეს დამწყებ მწვრთნელს; • ადრე შეძენილი უნარების და/ან კვალიფიკაციის შედარება პირად გამოწვევებთან, რთულ დავალებებთან/აკადემიურ საჭიროებებთან და მწვრთნელის საკვალიფიკაციო პროფილთან; <ul style="list-style-type: none"> • იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომელშიც პროფესიული განვითარება აუცილებელი საფეხბურთო მწვრთნელის პროფესიონალური კომპეტენციის პროფილისა და პირადი სასწავლო მიზნების მისაღწევად UEFA-ს მწვრთნელთა კვალიფიკაციების ურთიერთალიარების კონვენციაზე დაყრდნობით; • პირადი საჭიროებების და სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება; • სწავლების საჭიროებებთან შესაბამისობაში მყოფი სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საჭიროებებთან ან სწავლებასთან და ემსახურება სასწავლო მიზნებს; • მიღწეული და განსახორციელებელი სასწავლო მიზნების გაანალიზება; <p>ნაბიჯი 2 სთხოვეთ სხვა ორ პირს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეგივსოთ თქვენი შემაფასებელი კითხვარი, რაც შეიძლება ობიექტურად; • სთხოვეთ ამ პირებს გამოთქვან მოსაზრება ნებისმიერ შესაძლო უთანხმოებაზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უთანხმოებები არ წამოიჭრება ან მათი რაოდენობა იქნება მცირე, გამოკითხვიდან მიღებულ მონაცემებზე მსჯელობა მაინც ინფორმატიული და სასარგებლო იქნება. <p>ნაბიჯი 3 პირადი სასწავლო მიზნები და პრაქტიკული სწავლების გეგმის მომზადება</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერეთ სასწავლო აქტივობები, რათა პასუხი გასცეთ კითხვებს და მიაღწიოთ დასახულ მიზნებს; • განსაზღვრეთ განრიგი (ვარჯიშები, მატჩები); • მოიაზრეთ ვისთან ერთად ან სად ჩატარდება ღონისძიება ან აქტივობა; • იყავით უფრო აკურატული და კონკრეტული (რა მხრივ გასურთ მიიღოთ გაუმჯობესება); • განსაზღვრეთ სასურველი შედეგი (როდის უნდა დაკმაყოფილდეთ): სცადეთ ეს აღწეროთ მწვრთნელის/ინსტრუქტორის ქმედებებთან დაკავშირებით; • შეთანხმდით სასწავლო მიზნებზე კურსის ინსტრუქტორთან/ტუტორთან და/ან პრაქტიკული წვრთნის ინსტრუქტორთან;

	<ul style="list-style-type: none"> • დაისახეთ განხორციელებადი მიზნები; • განსაზღვრეთ ქმედებები, რომელთა შესრულებაც უნდა განაგრძოთ სასწავლო მიზნების მისაღწევად: მოამზადეთ გრაფიკი და განსაზღვრეთ ვინ უნდა დაგეხმაროს სათანადო აქტივობებში. <p>ნაბიჯი 4 მოახდინეთ მთელი ზემოთმოყვანილი ინფორმაციის ფორმირება პრეზენტაციულ დოკუმენტად და მოიპოვეთ ინსტრუქტორის თანხმობა.</p>
--	---

გთხოვთ, საკუთარი თავი შეაფასოთ თქვენი წარსულში მიღებული სამწვრთნელო/ინსტრუქტორის გამოცდილების მიხედვით. ასევე გთხოვთ სულ მცირე ორმა პირმა, რომლებსაც ჰქონიათ შეხება თქვენთან, როგორც მწვრთნელთან, დაგახსიათონ. შეადარეთ სხვათა რეაქციები თქვენს საკუთარ შთაბეჭდილებებს და გამოცდილებას. თუკი თქვენთვის რაიმე გაუგებარია, მოითხოვეთ განმარტება.

UEFA-ს ლიცენზიის აპლიკანტთა პრაქტიკული ეტაპი

მოთხოვნა კანდიდატის სასწავლო პრაქტიკებისთვის

1.	საფეხბურთო ორგანიზაციის სტრუქტურის აღწერა (კლუბი, სკოლა, გუნდი).
2.	ფუნქციური პასუხისმგებლობების აღწერა საფეხბურთო ორგანიზაციაში სამუშაო ადგილის ან კონტრაქტის მიხედვით. (მენეჯერი, მთავარი მწვრთნელი, ტექნიკური მენეჯერი, ასისტენტი, ფიტნეს მწვრთნელი და ა.შ.)
3.	საფეხბურთო ორგანიზაციის მატერიალური და ტექნიკური რესურსების აღწერა. (სტადიონი, მოედანი, გასახდელი, სამედიცინო ცენტრი და სხვ.).
4.	საფეხბურთო ორგანიზაციის ზოგადი დაგეგმარების აღწერა - ყველა გუნდი (მაკრო-ციკლი, წლიური, ფაზები, მიმდინარე).
5.	გუნდის აღწერა, რომელთანაც ლიცენზიის აპლიკანტს უმუშავია. (წლიური, ფაზირებული, მიმდინარე) დაგეგმარება, ტესტირება.
6.	ჩატარებულ ვარჯიშებზე გაკეთებული შენიშვნები და მატჩების პროტოკოლები.
7.	ინდივიდუალური დაკვირვება და დასკვნები. ფეხბურთელების კვალიფიკაციის ამაღლება, პირადი ცვლილებები ფეხბურთის გაგებაში. რისი შეცვლაა შესაძლებელი და რა საკითხები უნდა გაანალიზდეს სამომავლოდ.
8.	დანიშნული ექსპერტის დასკვნა (დახასიათება და რეკომენდაციები) (სპეციალური ფორმა)
9.	საფეხბურთო ორგანიზაციაში პრაქტიკული სწავლების გაგრძელების ოფიციალური თანხმობა. (სერტიფიკატი).

. მუდმივი კურსის განმავლობაში ან მის შემდეგ და კურსის გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდგომ, UEFA-ს ლიცენზიის აპლიკანტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკული სწავლების ეტაპი. პრაქტიკული სწავლება სასწავლო პროცესის აუცილებელი ნაწილია. კანდიდატი აქტიურად უნდა ჩაებას გუნდის წვრთნის პროცესში შესაბამისი ლიცენზიის დონის მიხედვით.

პერიოდი: ძირითადი კურსის დასრულებიდან მომდევნო 6-12 თვის განმავლობაში.

მინიმალური აქტივობა: ოთხი სავარჯიშო სესია და ერთი მატჩი.

კანდიდატისთვის ინიშნება ტუტორი (მეთოდოლოგიური კოორდინატორი). აღნიშნული ტუტორი ზედამხედველობას გაუწევს კანდიდატს პრაქტიკული ეტაპის დასასრულებლად და მისცემს წერილობით რეკომენდაციას.

პრაქტიკული ეტაპის დასრულებისას, ლიცენზიის აპლიკანტი წარადგენს ზემოთხსენებულ დოკუმენტებს. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ ფორმატში, ცხრილების, გრაფიკების, გამოსახულებების, დიაგრამებისა და სხვა ვიზუალური მატერიალის გამოყენებით.

ექსპერტს ნიშნავს ტექნიკური მენეჯერი ან სფფ-ს მენეჯერი UEFA-ს ლიცენზიის უმაღლესი ხარისხის მფლობელებისგან. გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაინიშნოს ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტი (სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილებით). სასწავლო პრაქტიკის დასრულებისას, ექსპერტი გასცემს წერილობით დასკვნას განსაზღვრულ ფორმატში. სფფ-ს შეუძლია აკონტროლოს ექსპერტის მიერ გაცემული ინფორმაციის სიზუსტე ნებისმიერ დროს სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში.

**სწავლების პრაქტიკის დაგეგმვის მოდელი ლიცენზიის აპლიკანტისთვის
აქტივობის ორგანიზების გრაფიკული სქემა და დოკუმენტების სფფ-ში წარგდენა**

თვე	დოკუმენტი	ანგარიშგება
	მოდული 1	
	ინდივიდუალური და ჯგუფური რჩევები კლუბთან და ინსტრუქტორთან.	
	მიკრო-ჯგუფის სემინარები. თემა: პრაქტიკული ეტაპის დაგეგმვა.	სფფ-ში
	ინდივიდუალური სწავლების პრაქტიკული გეგმა. პორტფოლიოს მომზადება.	სფფ
	მოდული 2	
	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	ტუტორი
	მოდული 3	
	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	ტუტორი
	პორტფოლიოს და მწვრთნელის ჟურნალის პრეზენტაცია.	
	მოდული 4	
	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	ტუტორი
	მოდული 5	

	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	ტუტორი
	მოდული 6	
	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	ტუტორი
	ვარჯიში (მინიმუმ 4 კვირაში) და მატჩები (მინიმუმ 1 ყოველთვიურად).	ტუტორი
	მოხსენება სწავლების პრაქტიკის შესახებ.	სფფ
	პორტფოლიოს და მწვრთნელის ჟურნალის პრეზენტაცია.	სფფ
	ერთ-ერთ აპლიკანტზე ორიენტირებული მიკრო-ჯგუფის სემინარები (თითოეული თემისთვის).	
	სამაგისტრო გამოცდა (მიკრო ჯგუფში).	სფფ-ის კომიტეტი

ანალიტიკური და პრაქტიკული დავალებები კურსში

მატჩები	
თამაშის სტილი	
დავალება	აღწერეთ თამაშის სხვადასხვა ტიპი და სტრატეგიები.
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	ეს დავალება გასწავლით: <ul style="list-style-type: none"> - მატჩის მოგებას და მასზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას; - თამაშის გარკვეული სტილის არჩევის პრინციპს; - იმ ფაქტორების გაანალიზებას, რომლებმაც შესაძლოა თამაშის სტილის ცვლილება გამოიწვიოს; - მწვრთნელის მიერ გაკეთებული არჩევანის ეფექტის განსაზღვრა.
სად უნდა შეასრულოთ დავალება?	შესაბამისი დონის ტურნირებზე და მატჩებზე დაკვირვება.
როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	ნაბიჯები, რომელთა მეშვეობით უნდა შეასრულოთ დავალება. <ul style="list-style-type: none"> - მატჩების ყურება; - მატჩების ანალიზი; - იფიქრეთ თქვენს ქმედებებზე კრიტერიუმის მიხედვით და შედეგის კონტროლი (რას ისურვებდით რომ სხვაგვარად/უკეთ გაგეკეთებინათ სამომავლოდ?)
რა უნდა იყოს დავალების შედეგი?	<ul style="list-style-type: none"> - ტურნირში მონაწილე გუნდების და თამაშის სტილის აღწერა; <ul style="list-style-type: none"> ▪ თამაშის სხვადასხვა სტილის ძირითადი პრინციპები/მიზნები; ▪ ფაქტორები, რომელთაც შეეძლოთ გარკვეული ცვლილებების გამოწვევა თამაშის სტილში; ▪ თამაშის თქვენი სტილის გაგრძელება მეტოქის თამაშის სტილთან მიმართებაში (რამ ჩაიარა კარგად და რამ არც ისე კარგად და რატომ). <p>ანალიზი:</p>

	<ul style="list-style-type: none"> - როგორ შეასრულეთ დავალება? - რამ ჩაიარა კარგად და არც ისე კარგად; - რას მოიაზრებთ ამის მიზეზად; - სად ხედავთ თქვენი შესაძლებლობების განვითარებას დავალების თემასთან დაკავშირებით; - რის გაკეთებას გეგმავთ სამომავლო განვითარებისთვის დავალების თემასთან დაკავშირებით;
კრიტერიუმი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
შედეგი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
მხარდაჭერა	<p>ტუტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - პასუხობს მონაწილის კითხვებს თამაშის სტილთან დაკავშირებით. <p>ინსტრუქტორი/ტუტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - წინასწარ განიხილავს ღონისძიებებსა და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს დამსწრის მიერ; - პასუხობს მონაწილის კითხვებს დავალების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით; - პრობლემებთან დაკავშირებით აძლევს რჩევებს და ინსტრუქციებს.
განმარტება	იხილეთ დავალების ჩანაწერი «მსოფლიო ჩემპიონატი».
კურსის მასალა	- მატჩის ანალიზის შესავსები ფორმები.
პრეზენტაცია	იხილეთ დავალების მოკლე მიმოხილვა.
დასრულება	ტუტორის დასტური.

მატჩის ანალიზი	
დავალება	მატჩის ანალიზის გაკეთება.
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	ეს დავალება გასწავლით მატჩების ინტერპრეტაციას, მათ მოგებას და ამაზე დაყრდნობით მატჩებსა და ვარჯიშებზე დასკვნების გამოტანას.
სად უნდა შეასრულოთ დავალება?	<ul style="list-style-type: none"> -იმ ადგილებში, სადაც მატჩები უნდა ჩატარდეს. (მინიმალური დონე); - როგორც სხვა დავალებების ნაწილი; - ჯგუფის კურსების განმავლობაში; - საზღვარგარეთიდან ჯგუფის კურსების განმავლობაში.
როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	<p>ნაბიჯები, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეასრულოთ დავალება.</p> <ul style="list-style-type: none"> -თქვენი გუნდის და თქვენი (უახლოესი) მეტოქე გუნდის ანალიზი; -მატჩების ანალიზი (მათზე დაკვირვება სახლში ან სტადიონზე); -მატჩების ჩაწერა; -ჩანაწერის გაუმჯობესება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით; -ჩანაწერების ინტერპრეტირება (მაგ. მოთამაშეთა როლი მოწინააღმდეგე გუნდში); -შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა (მიზეზისა და შედეგის აღნიშვნა); -მატჩის ანალიზისა და მწვრთნელის ქმედებებს შორის კავშირის განსაზღვრა; -თქვენ აფასებთ დავალებას/ანალიზების გამოყენებას; -იფიქრეთ თქვენს ქმედებებზე კრიტერიუმთან მიმართებაში და

	შედეგის კონტროლი (რის გაკეთებას ისურვებდით სხვაგვარად/უკეთ სამომავლოდ?).
რა უნდა იყოს დავალების შედეგი?	<p>პროგნოზის ანალიზი (მინიმალური დონე): შეავსეთ მატჩის ანალიზის ფორმა</p> <p>ანალიზები გამოიყენება დავალების შესრულებისთვის:</p> <p>1. პროფესიონალურ ფეხბურთის მატჩებში მწვრთნელობა.</p> <p>2. ძირითადი გუნდის მწვრთნელობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - თქვენი „საკუთარი გუნდის“ ანალიზი (პრაქტიკული სწავლება) და რჩევები „საკუთარი გუნდის“ თამაშის სტილის გასაუმჯობესებლად (აქცენტი განვითარებაზე); - მომდევნო მეტოქის ანალიზი და რჩევები თქვენი „საკუთარი გუნდის“ თამაშის სტილთან დაკავშირებით (პრაქტიკული სწავლება) მეტოქესთან მიმართებაში (აქცენტი შესრულებაზე). <p>კლუბის ანალიზი საზღვარგარეთიდან პრაქტიკული სწავლებისთვის. ანალიზი გამოიყენება პრეზენტაციის გასამყარებლად. პრეზენტაცია ეხება ნებისმიერ განსაკუთრებულ ღონისძიებას კლუბში მატჩის და ვარჯიშების დროს არსებულ ქმედებებთან დაკავშირებით და მხარდაჭერა. (პრაქტიკული სწავლება).</p> <p><u>ანალიზი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - როგორ შეასრულეთ დავალება? - რამ ჩაიარა კარგად და არც ისე კარგად; - რას მოიაზრებთ ამის მიზეზად; - სად ხედავთ თქვენი შესაძლებლობების განვითარებას დავალების თემასთან დაკავშირებით; - რის გაკეთებას გეგმავთ სამომავლო განვითარებისთვის დავალების თემასთან დაკავშირებით;
კრიტერიუმი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
შედეგი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
მხარდაჭერა	<p>მონაწილესთან ერთად ინსტრუქტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - არჩევს გასაანალიზებელ მატჩებს; - პასუხობს მონაწილის კითხვებს მატჩის ანალიზთან დაკავშირებით; - განიხილავს მატჩის ანალიზს. <p>ინსტრუქტორი/ტუტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - წინასწარ განიხილავს ღონისძიებებს და მოქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მონაწილის მიერ; - პასუხობს მონაწილის შეკითხვებს დავალების იდენტიფიკაციის შესახებ; - აძლევს რჩევებს და ინსტრუქციებს სამომავლოდ წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.
დასრულება	შეიცავს ტუტორის დაკვირვებებსა და პედაგოგის დასტურს.

მატჩის დღე	
დავალება	გუნდის გაწვრთნა მატჩის დღეს.
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	დავალება: - გუნდის ვარჯიში, მწვრთნელობა და მონიტორინგი მატჩამდე, მატჩის განმავლობაში და მის შემდეგ.

	-სამწვრთნელო საჭიროებების დადგენა (დამატებითი კითხვებით), როგორც ინდივიდუალური განვითარების ნაწილი.
სად უნდა შეასრულოთ დავალება?	პრაქტიკული სწავლებისას მოყვანილ გუნდთან ერთად (პრაქტიკა) ან თქვენს საკუთარ გუნდთან ერთად (მწვრთნელთან კონსულტაციის შემდეგ)
როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	<p>ნაბიჯები, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეასრულოთ დავალება.</p> <ul style="list-style-type: none"> -თქვენი გუნდის ანალიზი თქვენს მეტოქე გუნდთან შედარების გამოყენებით; -მატჩთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრა -მატჩების ანალიზი მიზნის მისაღწევად; -(ჩაიწერეთ და განუმარტეთ მოქმედებები მოთამაშეებს); -გავლენა მოთამაშეებზე მატჩის დროს და მის შემდეგ (მწვრთნელის მოქმედებები მატჩის დროს); -დისკუსია გუნდთან მატჩამდე და მის შემდეგ, ასევე პირველ და მეორე ტაიმებს შორის შესვენებაზე; -მატჩის მსვლელობისას გუნდის ეფექტური გაწვრთნა (მოთამაშეთა პოზიციების ცვლა მოედანზე, სწავლება, მოთამაშეთა შეცვლა და ა.შ); -მატჩის შეფასება: მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი? -გაანალიზეთ შედეგი და თქვენი ქმედებები კრიტერიუმთან მიმართებაში (რის გაკეთებას ისურვებდით სხვაგვარად/უკეთ სამომავლოდ?). <p>-განსაზღვრეთ სწავლების დონე მატჩის დღეს მწვრთნელის ქმედებების ხარისხის ინდივიდუალურ განვითარებასთან დაკავშირებით.</p>
რა უნდა იყოს დავალების შედეგი?	<ul style="list-style-type: none"> - თქვენი გუნდის/მომდევნო მოწინააღმდეგე გუნდის ანალიზი; - ანალიზზე დაფუძნებული თამაშის სტილი (თქვენი გუნდის სისუსტეებზე/ძლიერ მხარეებზე მოწინააღმდეგე გუნდის შესაძლებლობებთან/საფრთხეებთან მიმართებაში) -ჩატარებული მატჩის მიმდინარეობის აღწერა; - შერჩეული თამაშის სტილის შეფასება (გამოყენებულ იქნა თუ არა შესაძლებლობები, ხოლო საფრთხეები განეიტრალებული?) - მწვრთნელის ქმედებების შეფასება და დასკვნა. <p><u>ანალიზი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - როგორ შეასრულეთ დავალება? - რამ ჩაიარა კარგად და არც ისე კარგად; - რას მოიაზრებთ ამის მიზეზად; - სად ხედავთ თქვენი შესაძლებლობების განვითარებას დავალების თემასთან დაკავშირებით; - რის გაკეთებას გეგმავთ სამომავლო განვითარებისთვის დავალების თემასთან დაკავშირებით; <p>- სწავლების საჭიროებებთან თანხვედრა და მათი წვლილი პერსონალურ განვითარებაში.</p> <p>მწვრთნელის ქმედებების ანალიზი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვაკეთებ თუ არა სწორად? - ვაკეთებ თუ არა სწორედ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე? -სწორი ხელმძღვანელობით ვაკეთებ თუ არა იმას, რასაც ვაკეთებ?
კრიტერიუმი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
შედეგი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
მხარდაჭერა	<p>მონაწილესთან ერთად ინსტრუქტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - არჩევს გასაანალიზებელ მატჩებს; - პასუხობს მონაწილის კითხვებს თამაშის სტილთან დაკავშირებით; - გამოთქვამს მოსაზრებებს და აკვირდება მწვრთნელის ქმედებებს.

	<p>ტუტორი:</p> <ul style="list-style-type: none"> - წინასწარ განიხილავს ღონისძიებებს და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მონაწილის მიერ; - პასუხობს მონაწილის შეკითხვებს დავალების იდენტიფიკაციის შესახებ; - აძლევს რჩევებს და ინსტრუქციებს წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.
დასრულება	შეიცავს ტუტორის დაკვირვებებს და დასტურს.

ვარჯიში

ვარჯიში	
დავალება	ვარჯიშების დაგეგმვა სეზონისთვის წლიურ გეგმაში (ჟურნალი).
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	<p>თქვენ ისწავლით:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვარჯიშის გაანალიზებას, მომზადებას და შეფასებას სეზონისთვის წლიურ გეგმაში; - თამაშის სტილზე პერიოდულად გავლენის მოხდენას (გუნდის ტაქტიკასა და დამოკიდებულებაზე) სეზონისთვის წვრთნების პერიოდში და იმის განსაზღვრას, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს ამ გავლენას.
სად უნდა შეასრულოთ დავალება?	პრაქტიკული სწავლების გუნდთან ერთად (ვარჯიშები) ან თქვენს გუნდთან ერთად (ინსტრუქტორთან კონსულტაციის შემდეგ)
როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	<p>ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს დავალებების შესასრულებლად:</p> <ul style="list-style-type: none"> - ვარჯიშების დროს 8 კვირის განმავლობაში ვარჯიშის დიაგრამის განახლება და შეცვლა (იხ. მაგალითი ჟურნალში); - (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მწვრთნელთან/ინსტრუქტორთან გასაუბრება თამაშის სტილის შესახებ ვარჯიშებისთვის; - მონაწილის/თქვენი გუნდის თამაშის სტილის აღწერა შეტევის, დაცვის და პოზიციების შეცვლის დროს; - მონაწილის/თქვენი გუნდის ძლიერი მხარეების/სისუსტეების იდენტიფიცირება და აღწერა შეტევის, დაცვის და პოზიციების შეცვლის დროს; - სავარჯიშო სესიაზე, საწვრთნელ ბანაკებსა და ამხანაგურ შეხვედრებზე თამაშის სტილის განვითარებაზე დაკვირვება, ანალიზი და შეფასება ; - დასაშვებობის ტესტებზე დაკვირვება, ანალიზი და შეფასება; - დაკვირვება, ანალიზი და შეფასება იმისა, თუ რა მოცულობაზეა ორიენტირებული საწვრთნელი ბანაკები და მატჩები (ამხანაგური) იმისთვის, რომ უზრუნველყოს მოთამაშეების კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა; - სასწავლო პროგრამაში ცვლილებებზე დაკვირვება, ანალიზი და შეფასება (ვარჯიშები), მოთამაშე ჯგუფს და/ან ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას შორის არსებულ განსხვავებაზე დაყრდნობით.
რა უნდა იყოს დავალების	- ვარჯიშის აღწერა ჟურნალში (გუნდის ტაქტიკასთან და უნართან

შედეგი?	დაკავშირებით); -თამაშის სტილის აღწერა შეტევის, დაცვისა და მანევრების დროს; - მონაწილის/თქვენი გუნდის თამაშის სტილის აღწერა შეტევის, დაცვის და მანევრების დროს; -დასაშვებობის გამოცდების შედეგების აღწერა.
	- ვარჯიშის შეფასება და თამაშის სტილზე მუდმივი გავლენის მოხდენაზე ორიენტირებული დასკვნები ანალიზი: - როგორ შეასრულეთ დავალება; - რამ ჩაიარა კარგად და რამ არც ისე კარგად; - რას მოიაზრებთ ამის მიზეზად; - სად ხედავთ თქვენი შესაძლებლობების განვითარებას დავალების თემასთან დაკავშირებით; - რის გაკეთებას გეგმავთ სამომავლო განვითარებისთვის დავალების თემასთან დაკავშირებით;
კრიტერიუმი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
შედეგი	იხილეთ LFC- ის კომპეტენციის პროფილი.
მხარდაჭერა	მონაწილესთან ერთად ტუტორი: - წინასწარ განიხილავს ღონისძიებებს და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მონაწილის მიერ; -უზრუნველყოფს შედეგების გაგებას და (დასაშვებადობის) გამოცდების გაგრძელებას; - პასუხობს მონაწილეების კითხვებს თამაშის სტილთან, წვრთნის, საწვრთნელ ბანაკებთან და ვარჯიშის შინაარსთან დაკავშირებით; ტუტორი: - წინასწარ განიხილავს ღონისძიებებს და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მონაწილის მიერ; -პასუხობს მონაწილის შეკითხვებს დავალების იდენტიფიკაციის შესახებ; -აძლევს რჩევებს და ინსტრუქციებს წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.
დასასრული	შეიცავს ტუტორის დაკვირვებებს და დასტურს.

თამაშის სტილის განვითარების კონტროლი (UEFA A და PRO ლიცენზიები)

დავალება	თამაშის სტილის განვითარების კონტროლი (გუნდის და ცალკეული მოთამაშეების თვალსაზრისით).
დავალების ტიპი	განვითარება.
მიზანი	<p>თქვენ ისწავლით:</p> <ul style="list-style-type: none"> - თამაშის სტილზე გავლენის სისტემატიურად მოხდენას (გუნდის ტაქტიკისა და საფეხბურთო უნარის მხრივ) სეზონის განმავლობაში და მასზე გავლენის მქონე ფაქტორების იდენტიფიცირებას; - თუ როგორ შეიძლება იქნას გათვალისწინებული პერიოდიზაცია ტაქტიკურ წვრთნებსა და გუნდების უნარში (მოთამაშეებს შორის, დავალებებსა და დაკისრებულ მოვალეობასთან მიმართებაში, აღმდგენი პერიოდის დროს და ა.შ).
სად უნდა შეასრულოთ დავალება?	პრაქტიკული სწავლებისას მოყვანილ გუნდთან ან თქვენს საკუთარ გუნდთან (ტუტორთან კონსულტაციის შემდეგ)
როგორ უნდა შეასრულოთ დავალება?	<p>ნაბიჯები, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეასრულოთ დავალება.</p> <ul style="list-style-type: none"> - გუნდის თვალსაზრისით თამაშის სტილის განვითარების კონტროლი, ანალიზი და შეფასება და ცალკეული მოთამაშეების მოთხოვნებთან თანხვედრა საწვრთნელი ბანაკების, ვარჯიშების და მატჩების განმავლობაში, ზამთრის შესვენებამდე, რვა კვირის განმავლობაში; - კონტროლი, ანალიზი და შეფასება იმ მოცულობის, რომელზეც საწვრთნელი ბანაკები, ვარჯიშები და მატჩები (ამხანაგური) ორიენტირებულია სხვადასხვა ამოცანაზე და მოთამაშეების როლზე გუნდის სტილის გათვალისწინებით (ინდივიდუალური სწავლება, ხაზოვანი სწავლება და ა.შ.); - კონტროლი, ანალიზი და შეფასება იმ მოცულობის, რომელზეც საწვრთნელი ბანაკები, ვარჯიშები და მატჩები (ამხანაგური) ორიენტირებულია მოთამაშეების კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში ყოფნაზე და მოთამაშეების ფიზიკურ წვრთნაზე (აღდგენითი პრაქტიკები, წონის პრაქტიკები და ა.შ.); - ტრავმების (დაზიანებების) ჟურნალი და ერთ-ერთი მოთამაშის ხანგრძლივი ტრავმირების აღდგენითი პროცესის კონტროლი; - სხვა ექსტრემალური ფაქტორების აღწერა, რომლებიც გავლენას ახდენს მწვრთნელის ქმედებებზე სეზონის განმავლობაში, როდესაც საქმე ეხება დაგეგმვას; - დასკვნები და რეკომენდაციები წლიური გეგმის მოსამზადებლად ცალკეული მოთამაშეების მოთხოვნებთან თანხვედრით; - თვითშეფასება (იმ მხარეების აღწერა, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და მეთოდის, რომლის მეშვეობითაც ამ გაუმჯობესებების შესრულებას გეგმავთ).
